მოგწონთ ახალი ასფალტი?

A5

იოვოვიჩს "არტეკში" ელიან

A8

ნელი ფურტადო ახალი კუთხით

A8

24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 12 აგვისტო, 2005 წელი. №183 (1043)

ფასი 50 თეთრი

ამბები

შიდა ქართლში მომხდარ ინციდენტს ხმაურიანი გაბრძელება მოჰყვა

გუშინ შუადღისას გავრცელებული ინფორმაციით, 10 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, უცნობმა პირებმა გორში ფინანსური პოლიციის შენობა დაცხრილეს. შენობაში პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ, თუმცა არავინ დაშავებულა.

A2

ამბები

შვეიცარიული კომპანია ქართველი დიზაინერებისათვის ტრენინგ-სემინარს ჩაატარებს

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მაღალი დაცვის პოლიგრაფიული მანქანების მწარმოებელი შვეიცარიული კომპანია KBA GIORI-ის რეგიონულმა დირექტორმა სერგეი პივენმა საქართველოს ეროვნულ ბანკში საკუთარი პროდუქციის პრეზენტაცია გამართა.

A2

ამბები

პაკისტანს საკუთარი ფრთოსანი რაკეტები ექნება

პაკისტანმა წარმატებით გამოსცადა საკუთარი წარმოების პირველი ფრთოსანი რაკეტა, რომელსაც როგორც ჩვეულებრივი, ასევე, ბირთვული ქობინის გადატანა შეუძლია.

A3

ამბები

ახალი ტექნოლოგიების საინოვაციო ცენტრი

ამჟამად საქართველოში გაწყვეტილია ბუნებრივი ჯაჭვი: "ფუნდამენტური მეცნიერება - გამოყენებითი მეცნიერება - მრეწველობა".

A4

ამინდი

	11/08	12 /08
თბილისი	31	34
ტყიბული	28	28
სოხუმი	29	31
დმანისი	23	26
გორი	26	28
ონი	23	23
ზუგდიდი	32	32
ახმეტა	31	33
გაგრა	30	30
სამტრედია	31	31

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8026
ევრო	2.2285
ბირვანქა სტერლ.	3.2048
რუბლი	0.0634

ამბები	A 2
ამბები	A 3
თვალსაზრისი	A 4
სხვადასხვა	A 5
სხვადასხვა	A 6
კვირის პროგრამა	A 7
სხვადასხვა	A 8

საქართველოთი ახალი ნავთობინვესტორები დაინტერესდებიან

მათი მარეგულირებელი სააგენტო კი მალე კომისიად უნდა გადაკეთდეს

მაია ურუშაძე

საქართველოს ნავთობსექტორში საინვესტიციო ძალების ახალი გადავდგუფებებია მოსალოდნელი: ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტო, ნავთობისა და გაზის რესურსების განვითარებისა და ძიების უფლების მოსაპოვებლად, მალე ახალ ტენდერს გამოაცხადებს. ტენდერზე, სხვა სალიცენზიო ბლოკებთან ერთად, შავი ზღვის შელფის ნაწილიც გავა. სააგენტოს თავმჯდომარე ანდრო კოტეტიშვილი ვარაუდობს, რომ ინვესტორთა დაინტერესება დიდი იქნება. მით უფრო, რომ ნავთობის ფასი მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს.

გაგრძელება A3 გვერდზე



სალიცენზიო ბლოკების რუკა

ოპოზიციური ცესკო-ს პირველი სხდომა

თამარ ასათიანი

შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში ოპოზიცია ერთიან კანდიდატებს, სავარაუდოდ, 19 სექტემბერს დაასახელებს. ორი დღით ადრე კი, 17 სექტემბერს, საქართველოს ხუთ რაიონში - ისანში, ბათუმში, ქობულეთში, შუახევსა და ტყიბულში ოთხი ოპოზიციური პარტია წინასწარ არჩევნებს გამართავს. ეს გადაწყვეტილება გუშინ პრაიმერის ჩასატარებლად შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა პირველ სხდომაზე მიიღეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

იური ლუკაშენკოს ფოტო

ტონი ბლერი: თამაშის წესები იცვლება

ტონი ბლერი: ბრიტანული სტუმართმოყვარეობა ფეხქვეშ გაითელა. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ ლონდონის ტერაქტის შემდეგ "თამაშის წესები იცვლება"

ლონდონში 7 ივლისს დატრიალებული ტრაგედიიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ტერორიზმისგან თავდასაცავად ახალი ზომების გატარების შესახებ გააკეთა განცხადება. ტერორიზმისგან თავდაცვის თორმეტი საშუალება - ასეთი იყო ტონი ბლერის მიერ წარმოდგენილი მთავრობის ხედვა. "ყველამ უნდა იცოდეს, რომ თამაშის წესები იცვლება," - აღნიშნავს ბრიტანეთის მთავრობის მეთაური, - როგორც აღმოჩნდა, უაღრესად კონსერვატიული ბრიტანელებიც კი მზად არიან საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული წესები შეცვალონ, რათა ტერორი აიცილონ თავიდან.

გთავაზობთ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის 5 აგვისტოს გაკეთებული განცხადების სრულ ტექსტს.

"7 ივლისის მოვლენებს ბრიტანელი ხალხი გაერთიანებული, ღირსების გრძნობით პასუხობს და ეს ძალზე დასაფასებელია. რასაკვირველია, არის ღელვაც და შეშფოთებაც. ამ ქვეყანამ იცის, რომ ტერორიზმის მიზანი ადამიანების დაშინებაა, მაგრამ ის არ აპირებს, გახდეს დაშინების მსხვერპლი. რასაკვირველია, იყო ცალკეული და სრულიად მიუღებელი რასობრივი და რელიგიური შუღლის გამოხატვის შემთხვევები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. ბრიტანეთში კარგადაა ცნობილი, რომ ამ ქვეყანაში ტოლერანტი და კეთილმოსურნე ხალხი ცხოვრობს და ამაყობს ამ თვისებებით; მან ტერორიზმს სწორედ ეს თვისებები დაუპირისპირა, რითაც მთელი მსოფლიოს ხალხებისა და ქვეყნების დიდი აღფრთოვანება დაიმსახურა.

გაგრძელება A5 გვერდზე

"ბევრი მოსულა ენთუზიაზმით და წასულა იმედგაცრუებული"

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

"ყველგან წავიდოდი გუბერნატორად, იმერეთის გარდა, რადგან აქაური ვარ და ნაცნობობა დღეს გაცილებით მძიმე ტვირთია," - განაცხადა კაკო ბობოხიძემ იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულად მუშაობის მეორე დღეს. ნაცნობობის, მეგობრობისა და ნათესაობის მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებაში რწმუნებულმა დახმარება ჟურნალისტებისაგან ითხოვა.

"დღემდე იმერეთში არსებული სიტუაციის შესახებ ყველაზე ობიექტური ინფორმაცია ჟურნალისტებისგან მივიღე, ამიტომ რომც არ მიყვარდეთ, ელემენტარული საჭიროება მაიძულებს, რომ თქვენ გვერდით ვიყო. მე მზად ვარ თქვენთან თანამშრომლობისთვის. ნებისმიერი ინფორმაცია, თუნდაც ჭორად ყურმოკრული ჩემზე და ჩემს ახლობლებზე, მითხარით ღიად. ნუ გვექნება ურთიერთობა ნურც მკბენარებით, ნურც წილებითა და ტილებით, რადგან მე არა ვარ ის პიროვნება, რომ ვიკამათო ჟურნალისტებთან," - ამ სიტყვებით ბობოხიძემ მედიასაშუალებების წარმომადგენლებს მიმართა, რაზეც ჟურნალისტების შენიშვნამაც არ დააყოვნა. შენიშვნა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში რწმუნებულის ძმის სტატუსის გარკვევას შეეხებოდა, რაზეც გუბერნატორს იმერეთში პირველი ბოდიშის მოხდაც მოუხდა.

"გეთანხმებით, რომ იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია არ არის ოჯახური და ნათესაური თავშეყრის ადგილი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამხელა ადმინისტრაციაში გუბერნატორს

გაგრძელება A2 გვერდზე

ალკოჰოლური მონოპოლიისკენ

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის ხელისუფლებამ ალკოჰოლური პროდუქციის წარმოებაზე კონტროლი გაამკაცრა.

აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტში აცხადებენ, რომ მთავრობის მიერ "ალკოჰოლურ თემაზე" მიღებული ბოლო გადაწყვეტილება გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და გადასახადების ამოღების გაზრდას ისახავს მიზნად. აფხაზეთში ალკოჰოლურ პროდუქციას ათამდე საწარმო უშვებს. ღვინისა და არყის ნაწარმს, ძირითადად, სოხუმის კომპანია "აფხაზ-ალკო" აწარმოებს. დანარჩენ პროდუქციას მცირე საწარმოები უშვებენ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათი მუშაობით ძალიან არის დაინტერესებული, საწარმოთა საქმიანობა გამჭვირვალე მაინც არ არის და კონტროლი არ არსებობს. ამასთან, აღნიშნულ მცირე საწარმოთა საგადასახადო შენატანები ზოგიერთი რეგიონული ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმადგენს. თუმცა, გაუგებარია, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს ვინ და როგორ აკონტროლებს.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ალკოჰოლური პროდუქციის გამოშვებაზე ლიცენზიების გაცემა შეწყვიტოს. ზოგიერთ საწარმოს ლიცენზია ახლავე ჩამოერთმევა, ზოგს კი - წლის ბოლოს. ამ უკანასკნელთ კიდევ ექვსი თვით რომ ეძლევათ მუშაობის საშუალება, რეგიონული ხელისუფლების თხოვნებმა განაპირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლითი ნაწილი ვერ შესრულდება.

სპირტის შემოტანაზე აფხაზეთში სახელმწიფო მონოპოლია არსებობს. ამდენად, შემოტანილი ნედლეული, თითქოს, მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს, მაგრამ ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლები, ნედლეულის ხარისხთან დაკავშირებით, მუდმივად გამოთქვამენ პრეტენზიებს. მცირე საწარმოთა უდიდესი ნაწილისთვის ლიცენზიის ჩამორთმევა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ კომპანია "აფხაზ-ალკოსთვის" ხელოვნურად იქმნება ხელსაყრელი პირობები.

გაგრძელება A3 გვერდზე

კონსენსუსის ნაცვლად არჩეული ერთპიროვნული გადაწყვეტილება

ირანმა ისფაჰანის ბირთვულ ცენტრს ყველა ლუქი მოხსნა

ხათუნა გაბიევი

გაერო-ს ბირთვული სააგენტოს სხდომის მიმდინარეობისას ვენაში, სადაც ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერების შესახებ რეზოლუციის ტექსტს ათანხმებდნენ, ირანმა ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში აღჭურვილობას ყველა ლუქი მოხსნა და კვლევითი სამუშაოები სრული დატვირთვით განაახლა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუქის მოხსნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორების მეთვალყურეობის ქვეშ მოხდა, აშშ-სა და ევროპის მხრიდან ირანის თვითნებური ნაბიჯი მაინც მკაცრად იქნა შეფასებული. დასავლეთის აზრით, ოფიციალური თეირანის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეცდომა იყო.

ირანის მიერ ბირთვულ სფეროში წარმოებული პროდუქციის სამშვიდობო მიზნებით გამოყენების ნაკლებად სჯერა დასავლეთს, რადგან რამდენიც არ უნდა ამტკიცოს ირანმა, რომ მას დამატებითი ენერგორესურსები მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჭირდება, ოფიციალურად არსებული მონაცემები საპირისპიროზე მეტყველებს. გარდა იმისა, რომ ირანი ბუნებრივი გაზის საკმაოდ შთამბეჭდავ რესურსებს ფლობს, გასული წლის მაჩვენებლებით იგი ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს შორისაც მეოთხე ადგილს იკავებდა.

ამდენად, ლუქის მოხსნის შესახებ მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილება ოფიციალური თეირანის მხრიდან ძლიერ აფიქრებს დასავლეთს. მით უმეტეს, რომ ისლამურ რესპუბლიკას ახლა უკვე სათავეში კონსერვატორი პრეზიდენტი უდგას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში ირანის "ბირთვული დოსიეს" შესაძლო გადაგზავნის შესახებ ევროპელ ლიდერთა მიერ გაკეთებულ განცხადებას, ერთ-ერთი გავლენიანი ირანული გაზეთი "ქეიჰანი" მუქარის ტონით დაწერილი სარედაქციო წერილით გამოეხმაურა. წერილში ნათქვამი იყო, რომ "ბირთვული დოსიეს" გაერო-ს უშიშროების საბჭოში გადაგზავნის შემთხვევაში ირანი საერთოდ დატოვებდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას. ცნობისათვის, "ქეიჰანი" ირანის უზენაესი სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის გავლენის ქვეშ მყოფი გაზეთია.

გაგრძელება A3 გვერდზე

ოზურგეთში გაზი აღარ გაიჰარება

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე, გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალური ხაზების დამონტაჟების შემდეგ, ბუნებრივი აირის მოსახლეობისათვის მიწოდების პროცესი დაიწყო. გაზის პირველი მომხმარებლები აკაკის, გენიჩესკისა და მეგობრობის ქუჩის მცხოვრები 22 ოჯახი გახდა. ბუნებრივი აირით ასევე სარგებლობენ ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა, პურის საცხობი და ჩაის ფაბრიკა. უახლოეს დღეებში კი ბუნებრივ აირს კიდევ 90 ოჯახი მიიღებს. მეგობრობის ქუჩაზე, 92 წლის თეკლე გოგიტაურის ოჯახში, ცისფერი ალის ანთების რიტუალს ესწრებოდნენ გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი გორგაძე, ოზურგეთის გამგებელი ვალერი ჩიტაიშვილი, მხარის ადმინისტრაციისა და რაიონული გამგეობის წარმომადგენლები, არენდატორები.

"მწამს ეს დღე სხვა ბევრი სიკეთის სათავე იქნება. მადლობა ღმერთს, რომ ამ დღეს მოვესწარი. გაზი ერთხელ ადრეც მოვიდა, მაგრამ შემდეგ გაიპარა" (გურულ კილოზე გაპარვა ჩაქრობასაც ნიშნავს), - თქვა მხცოვანმა მასპინძელმა. მოხუცი დაამშვიდეს, რომ ახლა ყველა ტექნიკური პრობლემა მოგვარებულია და ყოველი მომხმარებელი ბუნებრივ აირს შეუფერხებლად მიიღებს.

შპს "ოზურგეთი გაზის "უფროსი არსენ ცინცაძე აცხადებს, რომ ამჟამად ყველა პრობლემა მოგვარებულია, წესრიგშია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის მარეგულირებელი სადგური და პუნქტი. ასევე საიმედოა თავად გაზსადენიც. ცენტრალური მაგისტრალიდან ოჯახებში გაზის შეყვანის საფასური 200-300 ლარის ფარგლებში მერყეობს, მანძილისა და სამონტაჟო სამუშაოების სირთულის შესაბამისად.

შემოსავლების გარეშე დარჩენილი ოზურგეთის მოსახლეობის უმეტესობისათვის ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ დენისა და გათბობის საშუალებების დეფიციტის პირობებში, ყველა ცდილობს, რომ წელებზე ფეხები დაიდგას და ბუნებრივი აირის მომხმარებელი გახდეს. ისიც სათქმელია, რომ, ტექნოლოგიური ხაზის მცირე მოდერნიზების შემდეგ, ბუნებრივი აირით ჩაის ფაბრიკები და სხვა საწარმოებიც შეძლებენ მუშაობას. ერთობ გაძვირებულ მაზუთს ალტერნატივა გამოუჩნდა.

შვეიცარიული კომპანია ქართველი დიზაინერებისათვის ტრენინგ-სემინარს ჩაატარებს

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მაღალი დაცვის პოლიგრაფიული მანქანების მწარმოებელი შვეიცარიული კომპანია KBA GIORI-ის რეგიონულმა დირექტორმა სერგეი პივენმა საქართველოს ეროვნულ ბანკში საკუთარი პროდუქციის პრეზენტაცია გამართა. კომპანიამ ფულის ნიშნების დიზაინის შესაქმნელად ყაზახეთის, უკრაინისა და პაკისტანის ცენტრალურ ბანკებს კონსულტაცია გაუწია. კომპანია KBA GIORI-ი ასევე მონაწილეობს შვეიცარიის ეროვნული ვალუტის ფულის ნიშნების ახალი კონცეფციის შემუშავებაში. პრეზენტაციას დაესწრნენ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ეკატერინე გალდავა და საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში შვეიცარიული კომპანია KBA GIORI-ის ექსპერტები საქართველოში ფულის ნიშნების დიზაინზე მომუშავე ექსპერტებს უსასყიდლოდ ჩაუტარებენ ტრენინგ-სემინარს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში გაიმართება. ტრენინგ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მიღება როგორც ფულადი ნიშნების დიზაინზე მომუშავე, ასევე ამ სფეროთი დაინტერესებულ ქართველ მხატვრებსაც შეეძლებათ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ეკატერინე გალდავას განცხადებით, მომავალში ლარის ახალი ნიშნების ბანკნოტების დიზაინი ევროსტანდარტისა და "ფულის ერთიანი ოჯახის" კონცეფციის მიხედვით უნდა მომზადდეს. რაც შეეხება შვეიცარიული კომპანიის ექსპერტების მონაწილეობით დაგეგმილ ტრენინგ-სემინარს, ეკატერინე გალდავამ აღნიშნა, რომ ქართველი მხატვარ-დიზაინერებისათვის მნიშვნელოვანი იქნება შვეიცარიელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება. მაღალი დაცვის პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებელი კომპანია KBA GIORI-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მომხმარებლისთვის ფულის ნიშნების დამზადების სერვისის სრული პაკეტის შეთავაზებაა. კომპანიის 1500-ზე მეტი პოლიგრაფიული მანქანა მსოფლიოს 175 ქვეყნის ფულად ნიშნებს ბეჭდავს. **24 საათი**

გაფრთხილება სამედიცინო კლინიკებს

ნანა ქადაგიშვილი

13 აგვისტოს, თბილისში მდებარე სამედიცინო კლინიკებში შაბათობა მოეწყობა.

ეს იდეა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკუთვნის. ლადო ჭიპაშვილმა სანიტარულ ინსპექციას კლინიკების მიმდებარე ტერიტორიებზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო თუ სამედიცინო ნარჩენების გატანა დაავალა. ინსპექცია, ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებასთან ერთად, კლინიკებში არსებული სანიტარული მდგომარეობის შემოწმებასაც აპირებს. ინსპექციის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ სამედიცინო დაწესებულებების 90 პროცენტი დაჯარიმებას ვერ გადაურჩება.

დაწესებულება, სადაც სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იქნება, თავიდან, 100 ლარით დაჯარიმდება. განმეორებითი ჯარიმა 500 ლარია. ხოლო ყველაზე ურჩ კლინიკებს ექსპლუატაცია შეუჩერდება. **"თუკი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობა ჩვენს მიწერილობას არ შეასრულებს და მდგომარეობას არ გამოასწორებს, ჯანდაცვის მინისტრს ამ კლინიკისთვის ლიცენზიის შეჩერებას მოვთხოვთ,"** - აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი.

ასე რომ, სანამ დროა, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელებს ურჩევნიათ, საკუთარი კლინიკების ეზოებისა და კაბინეტების სისუფთავეზე იზრუნონ და დასუფთავების სამსახურებთან ხელშეკრულებები გააფორმონ.

თავდასხმები ჰოლონელ დიპლომატებზე

მოსკოვში პოლონელ დიპლომატებზე განხორციელებული თავდასხმების სერიასთან დაკავშირებით, პოლონეთის ელჩმა სტეფან მილერმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა გადასცა. ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ მომხდარი ფაქტები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებაზე.

საქმე ისაა, რომ ოთხშაბათს მოსკოვში პოლონეთის საელჩოს მეორე მდივანს მარეკ შუტას სცემეს. ამ ინციდენტამდე ორი დღით ადრე კი, უცნობები პოლონეთის კონსულის მრჩეველს ანჯეი ურიადკოს დაესხნენ თავს. მიღებული ტრავმების გამო ორივე დიპლომატი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა თვლის, რომ მომხდარი ფაქტები ხულიგნურ ქმედებასთან არ არის დაკავშირებული. საელჩოს წარმომადგენლის თქმით, დაცვის სამსახურმა თავდამსხმელების შესახებ ინფორმაცია შეაგროვა, რომელიც მოწმობს, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე დაჯგუფება მოქმედებდა. არსებობს ეჭვი, რომ ჯგუფის წევრები პროფესიონალები არიან, "მომხდარს კი პოლიტიკური წანამძღვრები აქვს".

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ როტფელდი ამტკიცებს, რომ რუსეთში რაღაც "წითელ-ყავისფერი ძალები" არსებობენ, რომლებიც პოლონეთთან ურთიერთობების გაუარესებით არიან დაინტერესებული.

ორ პოლონელ დიპლომატზე თავდასხმა მოსკოვში მას შემდეგ მოხდა, რაც გასულ კვირაში ვარშავაში უცნობებმა რუსი დიპლომატების შვილები სცემეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლონეთის პოლიციამ ორი ადამიანი დააპატიმრა.

ინტერპრესნიუსი

ქართველ მეტყევეებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

"კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაცია შეფასდა როგორც მშვიდი და სტაბილური", - ასეთი შეფასება მიეცა ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციას.

ქართული მხარის წარმომადგენლის ვალერი ჯაფარიძის თქმით, შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ დრო ითხოვა იმ ინფორმაციის დასაზუსტებლად, რომელიც 9 აგვისტოს გავრცელდა და გატაცებული ქართველის ბედს შეეხება.

რაც შეეხებათ ხე-ტყის უკანონო ჭრის ბრალდებით დაკავებულებს, აფხაზურმა მხარემ ერთი მეტყევე რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა, დანარჩენ 12-ს კი სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

ვალერი ჯაფარიძე აცხადებს, რომ აფხაზი რეზერვისტების სამხედრო წვრთნების 15 აგვისტოს დაწყების შესახებ, რომელსაც, სავარაუდოდ, ოსებიც უნდა შეუერთდნენ, მხოლოდ სიტყვიერი ინფორმაცია აქვს.

ჯი-ეიჩ-ენი

„ბევრი მოსულა ენთუზიაზმით და წასულა იმედგაცრუებული"

ვირველი გვერდიდან

აკაკი ბობოხიძე: "ერთი თვისა თუ ორი წლის შემდეგ მე იმერეთიდან სუფთა კაცად წავალ"

არა აქვს გადაადგილების საშუალება, ამიტომ ვსარგებლობ ჩემი ძმის ტრანსპორტით. იმედი მაქვს, რომ იმ კვირაში უზრუნველყოფილი ვიქნები ტრანსპორტით და ეს პრობლემაც მოიხსნება," - განმარტა ბობოხიძემ.

მედია-საშუალებებთან ურთიერთობის გარკვევის ნაწილში იმერეთის ახალმა რწმუნებულმა საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპებიც გაიხსენა და განმარტა, რომ პარტიული ოდისეის მიუხედავად, პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია.

"ხან ედპ-ს წევრად გამომაცხადეს, ხან - "აღორძინების" და ხანაც - "მრგვალი მაგიდის", რაც არ ყოფილა. მე ჩემი ცოდვებიც მეყოფა, რომ სხვა პოლიტიკური პარტიების ცოდვებზე არ ვაგო პასუხი. თავიდანვე ვიყავი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, შემდეგ - "სახალხო პარტიის" და დღეს ვარ "ნაციონალური მოძრაობის" წევრი. ჩემს ამ არჩევანს დღეს განაპირობებს პრეზიდენტი. საქართველოს დღეს ჰყავს პრეზიდენტი, რომელსაც აქვს პოლიტიკური ნება. ეს არის კაცი, რომელსაც შეუძლია მოქმედება," - დასძინა რწმუნებულმა.

ჟურნალისტებთან "შეცდომების გასწორების" შემდეგ კაკო ბობოხიძემ კარტის გახსნა გადაწყვიტა და ღიად განაცხადა იმ მიზეზებზე, რის გამოც იმერეთში გუბერნატორობაზე უარს ამბობს: **"პრობლემა ის იყო, რომ მე არა მაქვს სამეურნეო გამოცდილება, მაგრამ პრეზიდენტის აზრით, დღეს იმერეთს უფრო პოლიტიკური აქტივობა სჭირდება და თანაც, მე გვერდით მყავს კარგი სამეურნეო მუშაკი ჩემი პირველი მოადგილის, ზურაბ ქაჯაიას სახით."**

64 წლის ზურაბ ქაჯაიას "სამეურნეო გამოცდილება" მის თანამდებობრივ ხელშეუხებლობას არაერთი მთავრობის პირობებში განაპირობებს. ასეთი გამოცდილების უქონლობის მიუხედავად, კაკო ბობოხიძე არც დანარჩენ სამ მოადგილეს უპირებს სამსახურიდან დათხოვას. სხვათა შორის, მეოთხე ვიცე-გუბერნატორის შტატი გია გეწაძის რწმუნებულობის დროს შეიქმნა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში. წინამორმებედებისაგან განსხვავებით, ახალი გუბერნატორი ამბობს, რომ არ გეგმავს საკადრო ცვლილებებსა და მით უმეტეს - შტატების დამატებას. გააქტიურებული ძველი გუნდით ახალმა რწმუნებულმა უნდა იზრუნოს, რომ "მკვდარი ქალაქი" ქუთაისი გააცოცხლოს, მისთვის ინდუსტრიული ფუნქციის აღდგენით; ქუთაისში აღარ იარსებოს კრიმინალურმა ჯგუფებმა; ღიად აღარ იყიდებოდეს ნარკოტიკი და არ ვრცელდებოდეს ჭორები, რომ პოლიცია და ნარკოგამაღებლები ერთად არიან; რეგიონში გაიხსნას სხვადასხვა ტიპის ობიექტები; ეფექტურად გამოიყენებოდეს რეგიონის მთავარი სიმდიდრე - "ფერო" და "ჭიათურმანგანუმი"; რომ რეგიონში ჩაიდოს დიდი ინვესტიცია და ა.შ.

"ბევრი მოსულა ჩემნაირი ენთუზიაზმით და წასულა იმედგაცრუებული, მაგრამ ერთი თვისა თუ ორი წლის შემდეგ მე იმერეთიდან სუფთა კაცად წავალ," - აცხადებს კაკო ბობოხიძე.

შიდა ქართლში მომხდარ ინციდენტს ხმაურიანი გაგრძელება მოჰყვა

გუშინ შუადღისას გავრცელებული ინფორმაციით, 10 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, უცნობმა პირებმა გორში ფინანსური პოლიციის შენობა დაცხრილეს. შენობაში პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ, თუმცა არავინ დაშავებულა.

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის საგამოძიებოს ხელმძღვანელის ზურაბ არსოშვილის განცხადებით, ფინანსური პოლიციის შენობის მიმართულებით თეთრი ფერის "ჟიგულის" მარკის ავტომანქანიდან ისროდნენ. **"არ არის გამორიცხული, რომ ფინანსური პოლიციის შენობაზე თავდასხმა ორი კვირის წინათ ჩატარებულ რეიდებს უკავშირდებოდეს,"** - განაცხადა ზურაბ არსოშვილმა. მისივე თქმით, მსგავსი ინციდენტი გორში ორი თვის წინათაც მოხდა, როცა პოლიციამ კონტრაბანდით დატვირთული ავტომანქანა გააჩერა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს.

არსებული ინფორმაციით, დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მათ მიმალვა შეძლეს. ინციდენტის დროს შენობაში ფინანსური პოლიციის რამდენიმე ოპერატიული მუშაკი იმყოფებოდა. მათ შეძლეს ავტომანქანის ფერისა და მარკის გარჩევა. მათი განცხადებით, დამნაშავეები თეთრი ფერის "ჟიგულის" მარკის ავტომანქანით იყვნენ. ჯერჯერობით დაუდგენელია იარაღის ტიპი, რომლითაც აღნიშნული პირები ისროდნენ. სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს ტყვიის მარხების პოვნა, რაც მათ იარაღის ტიპის დადგენის საშუალებას მისცემს.

ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, სროლის გარდა ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მისამართით მუქარა და უცენზურო სიტყვები ისმოდა. როგორც ფინანსური პოლიციის თანამშრომლები აცხადებენ, იმ ადამიანებს, რომელთა წინააღმდეგაც სადამსჯელო ღონისძიებები ტარდება, არ აწყობთ ფინანსური პოლიციის ამგვარი აქტიურობა და ბოლო პერიოდში მათი მისამართით თავდასხმები ამიტომაც გახშირდა.

შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის შენობასთან მომხდარ ინციდენტს ხმაურიანი გაგრძელება მოჰყვა. საქმე ისაა, რომ შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის შენობაზე უცხო პირების მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის ფაქტს სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი ეჭვქვეშ აყენებს. როგორც ჯუღელმა განაცხადა, მან გავრცელებული ინფორმაცია თავდასხმის შესახებ გადაამოწმა და ბევრი გარემოება საეჭვოდ მიიჩნია.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ინფორმაცია რადიკალურად განსხვავდება ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა ინფორმაციისგან. ვლადიმერ ჯუღელის განცხადებით, ნატყვიარები, რომელიც ფინანსური პოლიციის შენობის კარზეა, დაახლოებით 10 დღის წინანდელია. მისი თქმით, გუშინწინ ფინანსური პოლიციის შენობის მიმართულებით არავის უსვრია. ვლადიმერ ჯუღელის ვარაუდით, ფინანსური პოლიციის ეზოში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ერთ-ერთმა ოპერატიულმა მუშაკმა გაისროლა.

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს ხელმძღვანელი ზურაბ არსოშვილი ვლადიმერ ჯუღელის ამ განცხადებას უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ გუშინწინ ფინანსური პოლიციის შენობის მიმართულებით თეთრი ფერის "ჟიგულის" მარკის ავტომანქანიდან ისროლეს.

ვლადიმერ ჯუღელის განცხადებით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო.

24 საათი

სასამართლომ სულხან მოლაშვილს სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა

მიუხედავად იმისა, რომ გამწესრიგებელი სხდომის შემდეგ, სულხან მოლაშვილის საქმის განმხილველი უკვე რიგით მეხუთე სასამართლო სხდომა გაიმართა, 25-ტომიან საქმეზე შემდგარი საბრალდებო დასკვნა ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. შესაბამისად, ჯერ კიდევ არ დაწყებულა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის საქმის არსებითი სასამართლო განხილვა. თუკი წინა სასამართლო პროცესზე პროტესტის ნიშნად დარბაზის გალია განასასჯელმა დატოვა, გუშინდელი პროცესი მისი ახალი ადვოკატის პროტესტის გამოხატვით და სასამართლო პროცესის დემონსტრაციულად დატოვებით დასრულდა.

საქმე ისაა, რომ სულხან მოლაშვილის ახალმა, მესამე ადვოკატმა თემურ ნემსაძემ საქმის დეტალურად გასაცნობად გუშინ კიდევ ერთხელ მოითხოვა დამატებითი ვადა. ეს მოთხოვნა, მას, ისევე როგორც წინა პროცესზე, მოსამართლემ არ დაუკმაყოფილა. შეგახსენებთ, რომ წინა სასამართლო სხდომაზე ახალი ადვოკატის მიერ საქმის მასალების გასაცნობად მოთხოვნილი 30-დღიანი ვადა მოსამართლემ მხოლოდ ოთხდღიანი ვადით განსაზღვრა.

"ადვოკატ ნემსაძეს საქმის გაცნობისთვის წინა სხდომაზე რამდენიმედღიანი ვადა მიეცა, რაც მან ეფექტურად არ გამოიყენა. ვინაიდან ადვოკატები ჩიხში მოექცნენ და ხედავენ, რომ მოლაშვილის ბრალეულობის დასამტკიცებლად საკმარისზე მეტი მტკიცებულება მოგვეპოვება, საქმის განხილვის გაჭიანურებას ცდილობენ," - ასე აფასებს სახელმწიფო ბრალმდებელი მანანა მოსულიშვილი პროცესზე განვითარებულ მოვლენებს.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის საქმეში მესამე ადვოკატი განსასჯელთან შეთანხმებით მას შემდეგ ჩაერთო, რაც მოლაშვილის დამცველებმა - შალვა შავგულიძემ და სოსო ბარათაშვილმა - კუთვნილი შვებულება აიღეს.

"თავდაპირველად მოსამართლე თანახმა იყო ჩემი ახალი ადვოკატისთვის დამატებითი დრო მიეცა, თუმცა, შემდგომ 5-წუთიანი შესვენება გამოცხადდა და დარბაზში დაბრუნების შემდეგ მოსამართლემ ადვოკატს მოულოდნელად კატეგორიული უარი განუცხადა. ეს ყველაფერი ისე სამართლოს მიუკერძოებლობას უდავოდ ეჭვქვეშ აყენებს. - განაცხადა გუშინდელ სასამართლო პროცესზე განსასჯელმა მოლაშვილმა.

ამის შემდეგ, დაცვის უფლების შელახვის საფუძვლით, ადვოკატმა თემურ ნემსაძემ საქმის განმხილველი მოსამართლის აცილება მოითხოვა. თუმცა ეს შუამდგომლობაც, მოსამართლისვე გადაწყვეტილებით, დაუკმაყოფილებელი დარჩა. სწორედ ამის შემდეგ დატოვა ადვოკატმა სასამართლო დარბაზი. სხვათა შორის, მოსამართლე მანუჩარ კაპანაძის საქმიდან აცილების შუამდგომლობა ცოტა ხნის წინ შალვა შავგულიძემ და სოსო ბარათაშვილმაც დააყენეს. მოსამართლისგან მათაც კატეგორიული უარი მიიღეს.

პროკურორ მანანა მოსულიშვილის შუამდგომლობით, გუშინ სასამართლომ განსასჯელს სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა. ის საქმეში შემდეგ პროცესზე ჩაერთვება. პროცესი 16 აგვისტოს განახლდება, რომელზეც, პროკურორი, სავარაუდოდ, საბრალდებო დასკვნას წაიკითხავს.

24 საათი

მოკლედ

ძლიერი ღელვის გამო, რუსული სამხედრო ბაზის ტექნიკის გატანა გადაიდო

შავ ზღვაზე ძლიერი ღელვის გამო რუსეთის ორი სადესანტო გემი გონიოს პოლიგონზე შესვლას კვლავ ვერ ახერხებს.

როგორც ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ ვლადიმერ ყუფარაძემ განაცხადა, სადესანტო ხომალდებზე რუსული სამხედრო ბაზის კუთვნილი მძიმემუხლუხებიანი ტექნიკის დატვირთვა, სავარაუდოდ, დღეს დილით დაიწყება.

გონიოს პოლიგონზე ტექნიკის გამოყვანა დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. აქ, ძირითადად, თავი ბათუმში დისლოცირებული რუსეთის 90 სატანკო პოლკის ჯავშანტექნიკამ მოიყარა. ტექნიკის გადატვირთვას დაახლოებით ორი დღე დასჭირდება.

20 ერთეულ ტანკი, 10 საზენიტო კომპლექსი, 5 საზენიტო თვითმავალი დანადგარი და 5 ჯავშან-მანქანა უკვე გონიოს პოლიგონზეა გადაყვანილი. საქართველოდან მისი გაყვანის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონტროლით ხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს დღეს ვიქტორ იუშჩენკო ეწვევა

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო დღეს საქართველოს სამდღიანი ვიზიტით ეწვევა.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო კახეთის რეგიონს ესტუმრებიან. დაგეგმილია თელავის მუზეუმის, ერეკლე მეფის სასახლის, ალავერდის საკათედრო ტაძრის, წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა და წინანდლის ღვინის ქარხნის დათვალიერება.

შემდეგ პრეზიდენტები ქუთაისს ეწვევიან და გელათის საკათედრო ტაძარს მოინახულებენ. მოგვიანებით, ისინი ბორჯომ-ლიკანის რეზიდენციაში გაემგზავრებიან. დაგეგმილია საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერის ცერემონია, რომლის შემდეგაც პრეზიდენტები ბორჯომის პარკში გაისეირნებენ. აქვე იგეგმება იუშჩენკოს და სააკაშვილის მასმედიასთან შეხვედრაც.

საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტებს მცხეთაშიც ელოდებიან. დაათვალიერებენ ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს. შემდეგ პრეზიდენტები უფლისციხეს ეწვევიან.

ვიქტორ იუშჩენკო, პრეზიდენტის რანგში, საქართველოს პირველად ეწვევა. **ინტერპრესნიუსი**

ნარკოტიკი ვაშლში იყო დამალული

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობლეში მყოფ პატიმარ გიორგი სარბანაძესთან მიტანილ ამანათში საპყრობილის თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩინეს.

ამანათი პატიმრისთვის 29 წლის ე.ლ.-მ მიიტანა. ამანათში, ორი გამჭვირვალე ცელოფნის პატარა შეკვრაში ჩადებულ ვაშლში თეთრი ფერის ნივთიერება იპოვეს.

ფაქტზე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო. აღმოჩენილი ნივთიერება ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი.

ჯი-ეიჩ-ენი

კონტრაბანდული საქონელი დააკავეს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის რაიონის სოფელ იმირთან დააკავეს ავტომანქანა "ფორდ-ტრანზიტი", რომლითაც მგზავრს, თბილისში მცხოვრებ, 28 წლის პაატა შენგელიას სადახლოდან თბილისში უსაბუთოდ გადაჰქონდა 3 ათას 600 ლარის ღირებულების 1 200 ლიტრი ავტომანქანის ზეთი. საქმეს იძიებს ქვემო ქართლის ფინანსური პოლიცია.

მცხეთა-მთიანეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანთან დააკავეს ავტომანქანა "ბმვ-520", რომლის მძღოლს გოჩა ჯამასპაშვილს, გორიდან რუსთავში გადაჰქონდა რუსთავში მცხოვრებ 25 წლის ლევან ილურიძის 7 000 ლარის ღირებულების 5000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

ავტომანქანა ტვირთიანად გადაეცა ფინანსურ პოლიციას.

მედიანიუსი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რენე ვან დერ ლინდენი, 20 აგვისტოს სამუშაო ვიზიტით საქართველოში ჩამოდის. თბილისში იგი პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რენე ვან დერ ლინდენი თბილისში სომხეთიდან ჩამოვა, შემდეგ კი აზერბაიჯანში გაემგზავრება.

ჯი-ეიჩ-ენი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

საქართველოთი ახალი ნავთობინვესტორები დაინტერესდებიან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამჟამად საქართველოს გაზისა და ნავთობის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე გასატან ტერიტორიებს შორისაა პირველი ბლოკი - შავი ზღვის შელფის ტერიტორია, მე-8 სალიცენზიო ბლოკი, სადაც ბორჯომის რაიონიც შედის. მეცხრე ბლოკში შედის ოსეთის ტერიტორია, მეექვსე "ა", მეექვსე "ბ" ბლოკები იმერეთის ტერიტორიაა, მეშვიდე "ა" ბლოკი - სამცხე-ჯავახეთშია, ხოლო მეათე სატენდერო ბლოკი კახეთში მდებარეობს.

"ჩვენ ინტერესთა გამოხატულების კონკურსი მაისში გამოვაცხადეთ და ამ დროისთვის უკვე შვიდი კომპანია გამოგვეხმაურა და აქედან ხუთი - ახალია, ანუ ისეთი, ვისაც საქართველოში ჯერ არ უმუშავია, - აცხადებს სააგენტოს თავმჯდომარე ანდრო კოტეტიშვილი, - **ეს ჩვენთვის ბევრის მთქმელია, რადგან ყველა სერიოზული და რეალური ინვესტორი ცდილობს, ისეთ ქვეყანაში შევიდეს, რომელსაც ამ დარგის ინვესტირებისთვის შესაფერისი საკანონმდებლო გარემოც აქვს და მის ტერიტორიაზე კომერციულად საინტერესო რესურსების არსებობაც არის მოსალოდნელი."**

როგორც ცნობილია, შავი ზღვის შელფს (მეორე "ა" და მეორე "ბ" ბლოკებს) თავიდან მხოლოდ ამერიკული ნავთობგიგანტი “ანადარკო” ამუშავებდა. რადგან ტერიტორიის ნახევარზე ფორსმაჟორია და სამშვიდობო ოპერაციები ხორციელდება, ამიტომ "ანადარკოს" ინტენსიური სამუშაოები არ ჩაუტარებია. ის მხოლოდ თანამგზავრული შესწავლით, კოსმოსური გადაღებებითა და სეისმური კვლევებით შემოიფარგლა, რადგან ეს ის სპეციფიკური კვლევითი სამუშაოებია, რომლებიც, შესაძლებელია, დისტანციურად, ბლოკებზე შესვლის გარეშე განხორციელდეს. თუმცა, მას შემდეგ, რაც კომპანიამ წინასწარი შესწავლითი სამუშაოები ჩაატარა, თავად გამოძებნა საიმედო პარტნიორი, რომელიც შელფზე ნავთობსაძიებო სამუშაოების რისკს გადაინაწილებდა და მასთან ერთად კონსორციუმი შექმნა. ახლა შავ ზღვაზე ნავთობდაძიებით სამუშაოებს "ანადარკოსთან" ერთად უკვე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის ინვესტორები ბრიტანული "ბი-პი", თურქული TPAO და ამერიკული UNOCAL აწარმოებენ.

სააგენტოს თავმჯდომარე ანდრო კოტეტიშვილი მიიჩნევს, რომ მრავლისმეტყველია სამხრეთკავკასიური გაზისა და ნავთობის პროექტების ინვესტორთა ინტერესი შავი ზღვის შელფის რესურსების მიმართ. **"შავი ზღვის შელფით იმ ნავთობგიგანტების დაინტერესება, რომელთაც უკვე დაძიებული რესურსები 2050 წლამდე არ გამოელევათ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აქ შესაძლოა, დიდძალი მარაგები აღმოჩნდეს. თუმცა, დანამდვილებით ამის გასაგებად, წინასწარი დაძიებითი სამუშაოებია ჩასატარებელი, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული,"** - აცხადებს კოტეტიშვილი.

ცნობისათვის: ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობი უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა. სამაგიეროდ, ნიადაგია "ჭირვეული", რაც იმითაა განპირობებული, რომ გეოლოგიური თვალსაზრისით, კავკასიონის მთათა სისტემა ახალგაზრდად ითვლება და ქანები შედარებით ნაკლებად სტაბილურია. სხვათა შორის, ეს თავის თავზე გამოსცადა ამერიკულმა "ფრონტერამ" (მას ბურღვისას ჭაბურღილები არაერთხელ დაეხშო ქვიშის საცობებით, მაგრამ კომპანიამ ახლა ახალი, 80 მილიონ დოლარად შეფასებული საინვესტიციო პროექტი მოამზადა და იმედოვნებს, რომ ნიადაგის პრობლემებს გაუმკლავდება. ამ პროექტით ნიადაგის სამგანზომილებიანი, ე.წ. "3D" შესწავლა უნდა განხორციელდეს, რის შემდგომაც ნავთობის მოპოვებას კიდევ უფრო გაზრდის.

ტენდერის გამოცხადება სექტემბრის ბოლოსთვის-ოქტომბრისთვის იგეგმება. ამ დრომდე სააგენტომ, დაინტერესებულ კომპანიებთან კონსულტაციების შემდეგ, საინვესტიციო პროგრამა უნდა შეადგინოს, რის შემდეგაც უკვე ტენდერის ჩატარება გახდება შესაძლებელი. ტენდერამდე კიდევ რამდენიმე საკითხია მოსაგვარებელი. **"რადგან მთელი ტერიტორიის შესწავლა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ამიტომ ჩვენ სალიცენზიო ბლოკები კიდევ უფრო უნდა დავანაწილოთ, რაც საშუალებას მოგვცემს, მოვიზიდოთ არა მარტო მსოფლიო ლიდერი ნავთობგიგანტები, არამედ მცირე ნავთობკომპანიებიც,"** - აცხადებს კოტეტიშვილი.

ᲤᲝᲢᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ანდრო კოტეტიშვილი ნავთობმოპოვების მოცულობის გაზრდას მცირედებეტიანი ჭაბურღილების ამუშავებით გეგმავს.

მისი ინფორმაციით, ტენდერის პირობები საკმაოდ მკაცრი იქნება. **"უნდა დამთავრდეს დრო, როცა კომპანიები 800-მილიონიანი პროექტებით მოდიოდნენ, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის კი 800 ათასის დახარჯვას ვერ ახერხებდნენ. ეს ერთგვარად ბირჟაზე მოთამაშე კომპანიის საქციელს ჰგავს, რომელსაც სურს, ჯერ ლიცენზია მიიღოს, რათა მერე ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკება გააიოლოს. ასეთი კომპანიების დრო წავიდა,"** - აცხადებს კოტეტიშვილი.

გარდა ამისა, სააგენტოს თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ მალე საქართველოში ნავთობმოპოვებელ ინვესტორებს მუშაობა კიდევ უფრო გაუადვილდებათ. ამ ვარაუდის საფუძველს კი მას მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილება აძლევს - უახლოეს მომავალში სააგენტო სახელმწიფო საქვეუწყებო დაქვემდებარებიდან უნდა გამოვიდეს და დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიად გადაკეთდეს. ბუნებრივია, ეს ამ უწყების თავისუფლების ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის. კოტეტიშვილის განცხადებით, ინვესტორებისთვის სრულიად დამოუკიდებელ კომისიასთან მუშაობა გაცილებით უფრო იოლი იქნება, ვიდრე სახელმწიფოს მიერ ფინანსირებად სააგენტოსთან.

"კანონი "გაზისა და ნავთობის შესახებ" მაქსიმალურად უახლოვდება საერთაშორისო მოთხოვნებს, მაგრამ ის მაინც მუდმივად დახვეწის პროცესშია. ახლა იქმნება ერთგვარი "შუამავალი" სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის. ახლა შესაძლებელი იქნება, სპეციფიკური, პროფესიული საკითხები აქვე, კომისიური წესით გადაწყდეს. ვინაიდან ამ სექტორისთვის გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებებია დამახასიათებელი, ამას ინვესტორებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ინვესტორები ორ-სამ მილიარდიან პროექტს გეგმავენ, მათთვის ჯობს, ურთიერთობა დამოუკიდებელ მარეგულირებელთან ჰქონდეთ, და არა ხელისუფლებასთან," - აკონკრეტებს სააგენტოს თავმჯდომარე. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში იგეგმება იმ საკანონმდებლო კაზუსების მოგვარება, რომელთა გამოც დღეს სააგენტოს ფუნქციები კვეთაში მოდის სხვა უწყებების, მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტროსა და სხვა მარეგულირებლების ფუნქციებთან.

დაბოლოს: ერთი სიახლე, რომელიც შედარებით მცირე ინვესტორებისთვის, შესაძლოა, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდეს: **"ჩვენ ვაპირებთ, საქართველოში ცხრა-ათამდე დაკონსერვებული და ლიკვიდირებული ჭაბურღილის ინვენტარიზაცია ჩავატაროთ და მთელი საქართველოს მასშტაბით მცირედებეტიანი ჭაბურღილები ავამუშაოთ. ჩვენი გათვლებით, ეს 50 ათასი ტონა ნავთობის ეფექტს მოგვცემს. მაგალითად, თურქეთში 90 პროცენტი საშუალო და მცირედებეტიანი ჭაბურღილებია, აშშ-სა და კანადაში კი, შესაბამისად, 30 და 40 პროცენტი. ამჟამად ნავთობის ფასი ძალიან მაღლაა აწეული და ჭაბურღილები, რომლებიც ნახევარი ტონიდან ორ ტონამდე დღიურ მოპოვებას აწარმოებენ, მომგებიანი ხდება,"** - აცხადებს კოტეტიშვილი.

ასე რომ, მალე საქართველოში ნავთობმოპოვების ზრდაა მოსალოდნელი. ეს იმ ფონზე, როცა ბოლო ორ წელიწადში მოპოვება საგრძნობლად დაეცა. 2004 წელს ნავთობის მოპოვების მოცულობამ 100 ათას ტონას მიაღწია, წელს კი კომპანიები ერთად მხოლოდ 50 ათას ტონას თუ ელიან. სხვათა შორის, მაჩვენებლების კლებას ექსპერტები ქვეყანაში პოლიტიკურ ძვრებს უკავშირებენ, რადგან ნავთობმოპოვება - ეს ის დარგია, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკურ ძვრებს ვერ ეგუება.

ოპოზიციური ცესკო-ს პირველი სხდომა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინდელ სხდომას "კონსერვატიული პარტიის" წევრი ზვიად ძიძიგური თავკაცობდა. ოპოზიციური ცესკო-ს გადაწყვეტილებით, კომისიას მუდმივი თავმჯდომარე არ ეყოლება და მას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები რიგ-რიგობით უხელმძღვანელებენ. ცესკო ყოველ ხუთშაბათს შეიკრიბება, თუმცა, რიგგარეშე სხდომები, საჭიროების მიხედვით, სხვა დღეებშიც გაიმართება.

17 სექტემბრამდე ოპოზიციურ პარტიებს საკმაოდ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი - დასამტკიცებელია საარჩევნო დებულება, დასაკომპლექტებელია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, რეგისტრაციაშია გასატარებელი კანდიდატები, რომლებმაც განაცხადი ოპოზიციის საარჩევნო კომისიებში 21 აგვისტომდე უნდა წარადგინონ.

საგულისხმოა, რომ ოპოზიციურ ცესკო-ს პრაიმერის გასამართად საჭირო ბიუჯეტი ჯერ არ დაუმტკიცებია.

ოპოზიციონერები საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებენ ახალ დებულებაზე, რომელიც, მათი აზრით, ამომრჩეველთა თვალში, საარჩევნო კოდექსის ალტერნატივა უნდა გახდეს. "200-გვერდიანი სამარცხვინო და აბდაუბდა საარჩევნო კოდექსის სანაცვლოდ, რომელშიც ერთი და იგივე აზრი შვიდჯერ მეორდება, ჩვენ საკუთარი წინასაარჩევნო დებულება შევიმუშავეთ," - ითქვა პრეზენტაციაზე.

მთლიანობაში, ოპოზიციონერები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და პრაიმერის გამართვას ისტორიულ ფაქტად ნათლავენ. ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, **"ეს არის ისტორიული მოვლენა, როდესაც ოპოზიციური პარტიები მზად არიან, ურთიერთკონკურენტულ პირობებში საერთო კანდიდატზე შეთანხმდნენ."**

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ მათ მიერ შემუშავებული საარჩევნო დებულება და კანონმდებლობა ყველაზე დემოკრატიულია და არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით სწორედ ამ კანონმდებლობით უნდა ტარდებოდეს.

რაც შეეხება დამკვირვებლებს, პრაიმერის ჩასატარებელი საარჩევნო კომისიის სხდომებს და თავად კენჭისყრას ოთხი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დააკვირდება. მათ შორის არიან "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" (NDI), "ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტი" (IRI), "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა".

ალკოჰოლური მონოპოლიისკენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აფხაზური არყის ხარისხი ძალიან დაბალია. მის შედარებით დაბალ ფასს სპირტის სიიაფე განაპირობებს. ნახევარი ლიტრი არაყი დაახლოებით ერთი დოლარი ღირს. "აფხაზ-ალკოს" მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი დაახლოებით სამჯერ ძვირია, თუმცა, ადგილობრივ ბაზარზე მისი არაყი მაინც უპირობოდ ლიდერობს. "აფხაზ-ალკოს" არყის ნაწარმის ბაზარზე გამოჩენას წინ უსწრებდა აქტიური სარეკლამო კამპანია, რომელშიც ყურადღება პროდუქციის მაღალ ხარისხზე იყო გამახვილებული. თავიდან ეს სიმართლეს შეესაბამებოდა. "აფხაზ-ალკოს" პროდუქცია, თავისი ხარისხით, კონკურენტებისას აშკარად ჯობდა. ახლა კი მომხმარებლებს მიაჩნიათ, რომ ხარისხი ძალიან გაუარესდა. ამიტომ, გაიზარდა მოთხოვნილება სხვა საწარმოთა მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე. თუმცა, ვინაიდან მათ უმეტესობას დახურვა ემუქრება, "აფხაზ-ალკოს" პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდება.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

კონსენსუსის ნაცვლად არჩეული ერთპიროვნული გადაწყვეტილება

ირანმა ისფაჰანის ბირთვულ ცენტრს ყველა ლუქი მოხსნა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების განცხადებით, გასული წლის ნოემბერში ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში სამუშაოების დროებით შეწყვეტა მხოლოდ პოლიტიკური მოტივით იყო გამოწვეული, მიზანი კი "ევროპულ სამეულთან" (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) მოლაპარაკებების პროცესში ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება იყო. ამ ხნის განმავლობაში ევროკავშირმა ვერ შეძლო ირანისათვის კონსტრუქციული წინადადებების შეთავაზება, რამაც ოფიციალური თეირანი აიძულა, განეახლებინა სამუშაოები, აღნიშნავენ ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ადგილობრივი ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ ირანთან კონსტრუქციული დიალოგის შანსი ევროპელებს ჯერ კიდევ აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისლამური რესპუბლიკა არც ნათანზის ბირთვული ცენტრის ამოქმედებას მოერიდება, სადაც მას ურანის გამდიდრება შეეძლება.

დასავლეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის განახლების შესახებ ირანმა ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო.

ირანის წარმომადგენლის საიარუს ნასერის თქმით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის ირანის "ბირთვული დოსიეს" გადაცემის შესახებ "ევროპული სამეულის" მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება არ აქვს.

"მიმაჩნია, რომ ეს აშშ-სა და ევროკავშირის მხრიდან მცდარი გათვლა იქნება. გაერო-ს უშიშროების საბჭოსათვის ირანის საკითხის გადასაცემად არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობს და თუ ეს მაინც გაკეთდება, მხოლოდ - პოლიტიკური მოტივით, რაც თავისთავად უზარმაზარი შეცდომა იქნება," - აცხადებს ნასერი.

საირუს ნასერის თქმით, ბირთვული საწვავის წარმოება მხოლოდ აშშ-ს, ევროპის რამდენიმე სახელმწიფოსა და რუსეთის ექსკლუზიური უფლება არ არის, რადგან ეს ირანსაც შეუძლია.

დასავლეთს კი თავისი არგუმენტები აქვს. მას შეუძლია ირანის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება იმ მიზეზითაც მოითხოვოს, რომ თეირანი მთელი 18 წლის მანძილზე მალავდა ურანის გამდიდრების პროგრამას.

ბრიტანეთში ისლამური ექსტრემიზმის იდეოლოგები დააკავეს

დიდ ბრიტანეთში ბოლო დროს გახშირებული რეიდების შედეგად დააკავეს პალესტინური წარმოშობის იორდანიის მოქალაქე ომარ მაჰმუდ ომარი. ეს მუსლიმი მოძღვარი აბუ კატადას სახელით უფროა ცნობილი.

საერთო ჯამში ხუთშაბათს ჩატარებული სპეცოპერაციებისას ბრიტანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა 10 ადამიანი დააკავა. ოფიციალური წყაროების მიერ გავრცელებული ცნობით, ეს პირები, შესაძლოა, საფრთხეს წარმოადგენდნენ გაერთიანებული სამეფოს ეროვნული უშიშროებისთვის. კატადას დაკავება დაადასტურა მისმა ადვოკატმაც.

ესპანეთის პროკურატურა კატადას “ალ-ქაიდა”-ს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ორგანიზაციების სულიერ ლიდერად მიიჩნევს. თავის მხრივ დიდი ბრიტანეთი მას “ძალიან საშიშ პიროვნებას უწოდებს”, რომელიც დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე წარმოებული ტერორისტული მოღვაწეობის ცენტრში იმყოფებოდა.

როიტერსი

თურქეთში მორიგი ტერაქტი აღკვეთეს

თურქეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ქვეყანაში მორიგი ტერაქტი აღკვეთეს. როგორც თურქული ტელეარხი "CNN-Turk"-ი იუწყება, სპეცსამსახურებმა დააკავეს სირიელი ტერორისტი, რომელიც "ალ-ქაიდას" დაჯგუფების ადგილობრივ უჯრედს ხელმძღვანელობს. ჩხრეკისას ტერორისტს 750 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება უპოვეს. როგორც ტელეარხისთვის გახდა ცნობილი, ნივთიერება საკურორტო ქალაქ ანტალიაში ისრაელის საკრუიზო გემის ასაფეთქებლად უნდა გამოეყენებინათ.

ოთხშაბათს პოლიციამ დააპატიმრა 2003 წელს სინაგოგის აფეთქებაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება. ერთი მათგანი გუშინ სასამართლოს წინაშე წარსდგა. პროცესზე მან დაადასტურა, რომ ტერაქტებს ამზადებდა და განაცხადა, რომ ახლა ისრაელის სამგზავრო გემებს მისი "მეგობრები" აააფეთქებენ. ისრაელის ხელისუფლებამ უკვე მოუწოდა თავის მოქალაქეებს, უარი თქვან თურქეთის კურორტებზე დასვენებაზე.

ინტერპრესნიუსი

ერაყის აღმშენებლობა დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს

ერაყის კონსტიტუციის პროექტის მომზადება დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს და 15 აგვისტოსთვის დასრულდება, - ამის შესახებ გუშინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერელიმ განაცხადა.

მისი თქმით, ძირითადი პრობლემები, რომლებიც კონსტიტუციის პროექტზე მომუშავე კომიტეტის წინაშე დგას, ერაყის სახელმწიფო მოწყობის პრინციპების განსაზღვრაში და ბუნებრივი რესურსების განაწილებაში მდგომარეობს.

ორი დღის წინ, ერაყის პრეზიდენტმა ჯალალ თალაბანიმ შეხვედრა გამართა ქვეყნის ეთნიკურ და რელიგიურ ლიდერებთან. თალაბანის პრესმდივნის კამრან კარადაგის თქმით, პრეზიდენტი სუნიტი არაბების, შიიტებისა და ქურთების ლიდერებს ახალი კონსტიტუციის მიღების ვადებთან დაკავშირებით შეხვდა, მაგრამ უცნობია, შეძლო თუ არა პრეზიდენტმა მათთან შეთანხმების მიღწევა.

დათქმულ ვადებში კონსტიტუციის თაობაზე შეთანხმების მიღწევისკენ ერაყელ ლიდერებს კიდევ ერთხელ მოუწოდა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა. პენტაგონის შეფმა განაცხადა, რომ ვადების დაცვა ერაყის ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის უკიდურესად აუცილებელია.

როგორც ვარაუდობენ, კონსტიტუციის პროექტი ერაყის პარლამენტს აგვისტოშივე წარედგინება, ოქტომბერში კი ქვეყნის ძირითად კანონზე საერთო-სახალხო რეფერენდუმი გაიმართება.

24 საათი

პაკისტანს საკუთარი ფრთოსანი რაკეტები ექნება

პაკისტანმა წარმატებით გამოსცადა საკუთარი წარმოების პირველი ფრთოსანი რაკეტა, რომელსაც როგორც ჩვეულებრივი, ასევე, ბირთვული ქობინის გადატანა შეუძლია.

საცდელი გაშვება ხუთშაბათს დილით განხორციელდა. ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის, გენერალ-მაიორ შაუკატა სულთანის თქმით, პაკისტანმა დაამტკიცა, რომ მას ფრთოსანი რაკეტების წარმოება შეუძლია.

რაკეტა "ბაბურის" ფრენის მანძილი 500 კილომეტრია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მართვადი რაკეტები ჩვეულებრივ დაბალ სიმაღლეზე დაფრინავენ, რადარების მიერ მისი დაფიქსირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

პაკისტანი რეგიონის პირველი ქვეყანაა, რომელმაც ამ სახეობის იარაღის წარმოება შეძლო.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე პაკისტანმა და ინდოეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ბირთვული გამოცდების შესახებ მეორე ქვეყნის ინფორმირებას ითვალისწინებდა. თუმცა, ამ შემთხვევაში დელი პაკისტანის მიერ ფრთოსანი რაკეტის გაშვების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. შეთანხმება “არ ითვალისწინებს წინასწარ შეტყობინებას ფრთოსანი რაკეტების გამოცდის შესახებ,” - განაცხადეს გუშინ პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ჯერჯერობით ოფიციალური დელი მომხდართან დაკავშირებით კომენტარზე თავს იკავებს. თუმცა, აშკარაა, ისლამაბადის ქმედებას არცთუ “მეგობრულ” ნაბიჯად აღიქვამდნენ ისტორიულად დაპირისპირებულ ქვეყანაში.

1998 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა ქვეყნებმა თითქმის ერთდროულად განახორციელეს პირველი ბირთვული გამოცდები, მეზობლები ორჯერ - 1999 და 2002 წლებში იდგნენ ფართომასშტაბიანი ომის პირას. პარალელურად, პაკისტანიც და ინდოეთიც რეგულარულად ატარებდნენ რაკეტების გამოცდებს. **24 საათი**

მოკლედ

სერგეი ბაგაფშს მეგობარი ქვეყნების ელჩები შეხვდნენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩები მიიღო. ეს იყო სერგეი ბაგაფშთან მეგობარი ქვეყნების ელჩების პირველი შეხვედრა.

გერმანიის ელჩმა უვე შრამმა უსაფრთხოების საკითხებზე თბილისში გამართულ შეხვედრას წარმატებული უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ასეთივე წარმატებული იქნება სოხუმში სექტემბრისთვის დაგეგმილი ანალოგიური შეხვედრა.

გერმანიის ელჩმა სერგეი ბაგაფშს სთხოვა, რომ ხელი შეუწყოს იმ ქართველების გათავისუფლებას, რომლებიც გალისა და სოხუმის მილიციაში ხე-ტყის უკანონო ჭრის ბრალდებით არიან დაკავებულები.

სერგეი ბაგაფშმა მეგობარი ქვეყნების ელჩებს მადლობა გადაუხადა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო. მან ჟენევის ფორმატით მოლაპარაკებების გაგრძელების და სოჭის ხელშეკრულებით ეკონომიკური პროექტების განხორციელების მზადყოფნა გამოთქვა.

სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ მზადაა, ქართულ მხარესთან სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი განიხილოს, რომლის ხელმოწერაც, მისი თქმით, ბევრ პრობლემას მოაგვარებს. საზღვაო აკვატორიაში დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ბაგაფშმა მეგობარი ქვეყნების ელჩებს შესთავაზა, დსთ-ს სამშვიდობო ძალების ფორმატის გაზრდა ზღვის უსაფრთხოების ზონაში. რაც შეეხება დაკავებულ ქართველებს, ბაგაფშმა განაცხადა, რომ მათ ბედს აფხაზეთის სასამართლო გაარკვევს. **მედიანიუსი**

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები იწყება

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები 15 აგვისტოს დაიწყება. წვრთნებში მონაწილეობას 5 ათასი სამხედრო და რეზერვისტი მიიღებს.

აფხაზეთში 15-20 აგვისტოსთვის დაგეგმილი სამხედრო სწავლება აფხაზეთში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, რიგით მეოთხეა.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზური მხარე რუსეთის ხელისუფლების ფინანსური დახმარებით საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირებისთვის ემზადება. დაგეგმილი ფართომასშტაბიანი წვრთნების გეგმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ და გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი ზაიცევმა შეადგინა.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, აფხაზეთის ხელისუფლებამ 2005 წელს აფხაზეთში ჩატარებული და დაგეგმილი სამხედრო სწავლებებისათვის თანხები რუსეთიდან მიიღო. იმავე წყაროს ინფორმაციით, როგორც ყველა წინა სწავლებებში, 15-20 აგვისტოსთვის დაგეგმილ სწავლებებში მონაწილეობას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი და მოქმედი სამხედრო მაღალჩინოსნები მიიღებენ.

ცნობისათვის: აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს 90-იან წლებში მოქმედი ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ერთ-ერთი ლიდერი და "აფხაზეთის გმირი" სულტან სოსნალიევი ხელმძღვანელობს. მისი მოადგილეები არიან გენერალ-მაიორი ანატოლი ზაიცევი და აფხაზეთის საზღვაო ძალების სარდალი, პირველი რანგის კაპიტანი ოლეგ ვოინსკი. მათ გარდა, აფხაზეთის თავდაცვისა და უშიშროების უწყებებში რუსეთის თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების არა ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი მუშაობს. **ინტერპრესნიუსი**

თბილისის მოსახლეობა კვლავ ელექტროენერგიის გარეშე დარჩა

გუშინ, ენგურჰესის ერთ-ერთ აგრეგატზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, ელექტროენერგიის მიწოდება ქვეყნის მასშტაბით საათნახევრის განმავლობაში 200 მეგავატით შეიზღუდა.

თბილისში ელექტროენერგიის დეფიციტმა 80-90 მეგავატი შეადგინა. დედაქალაქს ამ დროისთვის, საჭირო 230 მეგავატის ნაცვლად, 140 მეგავატი ელექტროენერგია მიეწოდებოდა. როგორც ენერგოგამანაწილებელ კომპანია "თელასში" განმარტავდნენ, ნავთლუღისა და გლდანის კვანძების გამორთვის გამო, თბილისის მოსახლეობის 40 პროცენტი ელექტროენერგიის გარეშე გახლდათ დარჩენილი.

დაახლოებით ორი საათისთვის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ენგურჰესზე გათიშული პირველი აგრეგატი ჩაირთო.

შესაბამისად, გუშინ ენგურჰესის სამი აგრეგატი მუშაობდა. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებდნენ, ელექტროენერგიაზე შეზღუდვები მოიხსნება, თუმცა არ არის გამორიცხული, საღამოს პიკის საათებში - 21-დან 23 საათამდე სისტემაში 20-30 მგვ. დეფიციტი შეიქმნას. **24 საათი**

ეკონომიკის სამინისტრომ საპრივატიზაციო ობიექტების პრეზენტაცია გადადო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გუშინ გასაყიდი ობიექტების მორიგი პრეზენტაცია უნდა შემდგარიყო. საუბარია იმ ობიექტებზე, რომელთა გაყიდვაც აუქციონის წესით 18 აგვისტოს იგეგმება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტრო 18 აგვისტოს 3 ობიექტის გაყიდვას გეგმავს. მათი გაყიდვის შემთხვევაში კი, ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 5 800 000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში შევა.

გასაყიდად გამოტანილია დაბა ჩაქვში მდებარე სანატორიუმი-სასტუმრო "ოაზისი", რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 4 400 000 დოლარს შეადგენს. ქობულეთში მდებარე სასტუმრო "კოლხეთი", მისი საწყისი გასაყიდი ფასია 1 300 000 დოლარი, და თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე სს "ენერგოტრანსპორტმექანიზაცია", რომლის საწყისი ფასი 100 000 დოლარია. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, აღნიშნული ობიექტების პრეზენტაცია მომავალ კვირას გაიმართება, შესაბამისად, შესაძლოა თავად აუქციონის თარიღიც გადაიდოს. **24 საათი**

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანის წყალსადენის რეაბილიტაციის მიკროპროექტი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფ. შაშიანის** საკრებულოს სათემო კავშირთან **"შაშიანი-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"შაშიანი-2005"**, ინვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფ. შაშიანის გამგეობის შენობაში.

საკონტაქტო პირი **გიორგი მწარიაშვილი** სათემო კავშირი **"შაშიანი-2005-"**ის თავმჯდომარე.

2005 წლის **12** აგვისტოდან. **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურგაანის რაიონი,
სოფ. შაშიანის გამგეობის შენობაში

საკონტაქტო პირი **გიორგი მწარიაშვილი** სათემო კავშირი **"შაშიანი-2005-"**ის თავმჯდომარე.

2005 წლის 9 სექტემბერს 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 14:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

ახალი ტექნოლოგიების საინოვაციო ცენტრი

მცირე მეწარმეობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში

ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, შვედეთის, ტაივანის და სხვათა ტექნოლოგიური ბაზრის ჩამოყალიბების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მდგრადი განვითარების, ტექნოეკოპოლისების და ტექნოპარკების სტრუქტურების, როგორც საინოვაციო ცენტრების შექმნის პროგრამები. საქართველოში მსგავსი პროგრამების განხორციელება, ვფიქრობთ, საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს.

ტექნოპოლისებისა და ტექნოპარკების შექმნა, ანუ ეკონომიკური განვითარება ამ მიმართულებით პერიფერიულ რაიონებს, შედარებით ჩამორჩენილი ეკონომიკით, გარდაქმნის განვითარებულ რეგიონებად, სადაც არის მაღალი ტექნოლოგიები სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სხვადასხვა სფეროებში. ამასთან, ამ გზით გადაწყვეტილი იქნება სოციალური განვითარების რეგიონული ამოცანები, მათ შორის, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, მოხდება საკუთარი სპეციალისტების მომზადება, ჩამოყალიბდება ინფრასტრუქტურა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ კრიზისი ქვეყნის ეკონომიკაში ყოველთვის წარმოადგენდა ბიძგს ტექნოპარკების შექმნისათვის, მათი განვითარების მამოძრავებელს. ამას განსაკუთრებით ადასტურებს 1980-იანი წლების დასაწყისში სამეცნიერო პარკების შექმნის გამოცდილება დიდ ბრიტანეთში, როდესაც მეტალურგიული, საფეიქრო და ქვანახშირის მრეწველობის კრიზისმა მრავალ რაიონს ზიანი მიაყენა. სწორედ მაშინ, მარგარეტ ტეთჩერი იღებს გადაწყვეტილებას, აშშ-ს გამოცდილების გამოყენებით, კრიზისის რეგიონებში შეიქმნას სამეცნიერო პარკები უნივერსიტეტების მახლობლად.

საქართველოში საზოგადოების ყველა სფერომ მნიშვნელოვანი თვისობრივი და რაოდენობითი ცვლილებანი განიცადა. ცლილებები ხდება სამეცნიერო სფეროში, მეცნიერებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებში.

1990 წლიდან მოყოლებული, მკვეთრმა ეკონომიკურმა დაცემამ გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერების მხარდაჭერის დონის შემცირება, სამეცნიერო შრომის პრესტიჟის დაცემა, მეცნიერთა მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუარესება. პრაქტიკულად, გაქრა მოთხოვნა ინოვაციებზე, ცოდნაზე. რეფორმისათვის სახსრების უქონლობამ შეუძლებელი გახადა უშუალოდ რეფორმების განხორციელება. ფუნდამენტური, გამოყენებითი, დარგობრივი მეცნიერების დაფინანსება შეწყდა, მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაუქმდა. სახელმწიფო აკადემიების დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდა, შეიქმნა სამეცნიერო პოტენციალის განადგურების რეალური საფრთხე.

მეცნიერების რეფორმირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებაში უნდა ჩატარდეს ცოდნაზე მოთხოვნების ანალიზი და მეცნიერების სფეროს რეფორმა უნდა ჩატარდეს ისე, რომ მთლიანად დააკმაყოფილოს მასზე საზოგადოების მოთხოვნილებანი. ხოლო თუ არსებობს მეცნიერთა კოლექტივები და ისინი აწარმოებენ ინტელექტუალურ პროდუქტს, რომელიც საზოგადოებაში მოთხოვნით არ სარგებლოს, უნდა ვეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ მოთხოვნა ამ პროდუქტზე.

სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ყველაზე ეფექტურ მიმართულებად გვევლინება ინოვაციური პროცესი (იპ), რომლის რეალიზაციაც გულისხმობს, რომ ინოვაცია, არის რა ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი, უპირველეს ყოვლისა, გამიზნულია პრაქტიკულ, კომერციულ შედეგზე.

საერთო სახით ინოვაციური პროცესი შედგება სამი ფაზისაგან:

1. ახალი პროდუქტის დამუშავება (მომსახურება, ტექნოლოგიები);
2. სამრეწველო ათვისება;
3. შედეგების კომერციალიზაცია.

მისი მთავარი თავისებურება იმაშია, რომ თვით იდეა, რომელიც იძლევა ინოვაციური პროდუქტის წარმოების ბიძგს, უკვე ე.წ. "სუფთა მეცნიერების" შედეგი კი არ არის, არამედ გამოდის, როგორც პრაქტიკულად მიმართული ინოვაციური იდეა, რომელიც კონკრეტული ეკონომიკური ეფექტის მიღებას ითვალისწინებს.

ამჟამად საქართველოში გაწყვეტილია ბუნებრივი ჯაჭვი: "ფუნდამენტური მეცნიერება - გამოყენებითი მეცნიერება - მრეწველობა". ამგვარად, დაჩქარებული საინოვაციო მექანიზმის ამოქმედება ურთიერთქმედების აღდგენა ჯაჭვში "მეცნიერება - წარმოება", წარმოადგენს მეცნიერების საჭირო რეფორმების არსს. ამჟამად შექმნილი ინოვაციები არ მიდის წარმოებაში და ამ სიტუაციის შენარჩუნება, შეიძლება, მეცნიერების რეფორმირებისთვის გამანადგურებელი გახდეს. ეს იმიტომ ხდება, რომ ადგილობრივ მრეწველობას, როგორც ინოვაციების ძირითად მომხმარებელს, არ გააჩნია რესურსები ტექნოლოგიების აღჭურვისა და ახალი პროდუქციის ათვისებისათვის. არასრულყოფილი ნორმატიული ბაზა და საგადასახადო კანონმდებლობა არ უწყობს ხელს ინოვაციას, ხოლო ინოვაციის მოთხოვნის არარსებობა უსარგებლოს ხდის გამოკვლევებს.

სიტუაციის შეცვლისათვის საჭიროა მაქსიმალურად სწრაფად განვითარდეს მცირე მეწარმეობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს მეწარმეობა ძალიან დინამიურია, საჭიროებს მცირე კაპიტალდაბანდებას, და მსოფლიოს მრავალი მსხვილი კორპორაცია განვითარების საწყის სტადიაზე მცირე ფირმებს განეკუთვნებოდა. სწორედ მცირე მეწარმეობა, როგორც წესი, იწყებს ახალი სარისკო იდეების რეალიზაციას, გარდა ამისა, ის მასობრივია, მას სჭირდება ბევრი ახალი იდეა. და ბოლოს, მცირე ბიზნესში ძალიან ხშირად სწორედ ცოდნის მწარმოებელი ხდება თავისი იდეის საქონელში ინოვაციური გარდაქმნის მონაწილე, და შედეგად, უმოკლეს ინოვაციურ ციკლს აღწევს.

ამგვარად, ახლანდელ პირობებში იმედი უნდა დავამყაროთ მცირე მეწარმეობის განვითარებაზე, როგორც ლოკომოტივზე, რომელიც არა მხოლოდ აამოძრავებს სამრეწველო წარმოებას, არამედ სწრაფად ჩამოაყალიბებს მოთხოვნას საქართველოში წარმოებულ ცოდნაზე მეცნიერების სფეროში.

იმისათვის, რომ ქვეყანა განვითარების ინოვაციურ რელსებზე გადავიდეს, საჭიროა შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში, სახელმწიფოს სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაში, საბიუჯეტო პოლიტიკასა და მის მიზნებში, საგადასახადო სფეროში, დარგებისა და საწარმოების მუშაობის მიზანსა და შედეგებში, რეგიონების ცხოვრებაში და სოციუმის მთლიანობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოპარკების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების შედეგების გარდაქმნა ახალ კონკურენტუნარიან საქონელსა და მომსახურებად, იდეიდან საქონლამდე ინოვაციური ციკლის მნიშვნელოვანი შემცირება, საინოვაციო საქმიანობისათვის კადრების მომზადება და მომსახურების პირობების ისეთი დონის შექმნა, რომელიც სხვა პირობებში მათთვის მიუწვდომელი იქნებოდა. ტექნოლოგიური ბიზნეს-ინკუბატორი ტექნოპარკის შემადგენლობის ერთ-ერთი რგოლია და წარმოადგენს პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის მისიაა - ტექნოპარკის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ბაზაზე შექმნილი დამწყები მცირე ინოვაციური კომპანიების "გამოზრდა", ფუნქციონირების საწყისი პირობების გაუმჯობესება და მათი გადარჩენის პერსპექტივები. ტბი უზრუნველყოფს ამ საწარმოებისთვის საჭირო ფართსა და ტექნიკურ რესურსებს, საკონსულტაციო, საინფორმაციო მომსახურებას, ასწავლის მათ თანამშრომლებს, ატარებს მარკეტინგულ გამოკვლევებს, ეხმარება საინოვაციო პროექტებისა და ბიზნეს-გეგმების დამუშავებაში, ამარაგებს საწყისი კაპიტალით და, ამგვარად, ქმნის ხელსაყრელ გარემოს ამ საწარმოების წარმატებული საქმიანობისათვის. ჩვეულებრივ, ტბი-ში გათვალისწინებულია საწარმოების - კლიენტების როტაცია. მათი "ცხოვრების" ვადა ინკუბატორში 2-დან 5 წლამდეა. მისი დამთავრების შემდეგ ფირმები საბოლოოდ ტოვებენ ინკუბატორს, ხდებიან ტექნოპარკის და რეგიონის ეკონომიკური გარემოს სრულუფლებიანი წევრები, განავითარებენ თავის საინოვაციო საქმიანობას, ხელს უწყობენ კვალიფიკაციისა და განათლების მაღალი დონის მქონე მოსახლეობის დასაქმებას, ინვესტიციების მოზღვავებას სამეცნიერო და საწარმოო სფეროში.

მეცნიერების რეფორმირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებაში უნდა ჩატარდეს ცოდნაზე მოთხოვნების ანალიზი და მეცნიერების სფეროს რეფორმა უნდა ჩატარდეს ისე, რომ მთლიანად დააკმაყოფილოს მასზე საზოგადოების მოთხოვნილებანი. ხოლო თუ არსებობს მეცნიერთა კოლექტივები და ისინი აწარმოებენ ინტელექტუალურ პროდუქტს, რომელიც საზოგადოებაში მოთხოვნით არ სარგებლოს, უნდა ვეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ მოთხოვნა ამ პროდუქტზე.

ტექნოპარკების განსაკუთრებული დანიშნულებაა - იმ მეცნიერთა და სპეციალისტების სამეცნიერო კვლევების, გამოგონებებისა და აღმოჩენების შედეგების კომერციალიზაცია, რომლებმაც გადაწყვიტეს დასაქმდნენ მცირე ბიზნესით სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, მაგრამ რომელთაც შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე არ შეუძლიათ ამის გაკეთება, აგრეთვე, ტექნოლოგიური ტრანსფერტის განხორციელება.

ტბი-ს საქმიანობა ტექნოპარკის შემადგენლობაში მიმართულია მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის განვითარებასა და მხარდაჭერაზე, დახმარებაზე მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების კომერციალიზაციაში და ხასიათდება ნელი ბრუნვით. ამიტომ, ყველა ქვეყანაში ბიზნეს-ინკუბატორები იქმნება, როგორც სტრატეგიული დონის ინიციატივები მრავალი სამეცნიერო, საგანმანათლებლო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების, საფინანსო ინსტიტუტების სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ერთობლივი მონაწილეობით, რომელთა დახმარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მთლიანობაში მცირე საინოვაციო მეწარმეობის ან მეცნიერებატევადი ბიზნესის მხარდაჭერის სხვა უკეთესი ინსტრუმენტი მსოფლიო პრაქტიკას არ გამოუმუშავებია. ბუნებაში არ არსებობს უფრო ეფექტური სტრუქტურა, ვიდრე ტექნოპარკი, ისევე როგორც არ არსებობს ჩვეულებრივი, არატექნოლოგიური ბიზნესის მხარდაჭერის უფრო ეფექტური სტრუქტურა, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედი ბიზნესის ინკუბატორი. სწორედ ტექნოპარკებში დაიწყეს თავისი საქმიანობა ისეთმა ფირმებმა, როგორიცაა "ჰიულეტ-პაკარდი", "მაიკროსოფტი", "პოლაროიდი". ტექნოპარკებისთვის უკეთესი რეკლამის გამოგონება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ტექნოპარკებს "მცირე მეცნიერტევადი ფირმების წარმოების ქარხანა" ვუწოდოთ, ისინი, ჩვეულებრივი ქარხნებისგან განსხვავებით, უმეტესწილად არაკომერციულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

ტექნოპარკებს გააჩნიათ სტრატეგიული, გრძელვადიანი მიზნები - რეგიონების გარდაქმნა მრეწველობის ახალი, ყოველ შემთხვევაში - ამ რეგიონებისთვის, დარგების საფუძველზე, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პრაქტიკული უკუგების დაჩქარება კერძო მეწარმეობის სექტორის მეშვეობით.

ტექნოპარკები - ეს იმ პირონებების საინოვაციო აქტიურობის დაცვის გარემოა, რომელთაც ყველაზე მეტად გააჩნია ამის უნარი. აქ არ ხდება კაპიტალის სწრაფი ბრუნვა. ამიტომ ისინი ყველგან იქმნება, როგორც სტრატეგიული დონის ინიციატივები მრავალი სამეცნიერო, საგანმანათლებლო ორგანიზაციის, სამრეწველო საწარმოს, საფინანსო ინსტიტუტებისა და, აუცილებლად, ხელისუფლებისა და მართვის ტერიტორიული ორგანოების მონაწილეობით. უკანასკნელზე, სხვათა შორის, ბევრადაა დამოკიდებული ტექნოპარკების საქმიანობის წარმატება. ისინი იქმნება, როგორც მცირე მეცნიერებატევადი ბიზნესის მხარდაჭერის დისციპლინათშორისო და უწყებათშორისო ინფრასტრუქტურები, მათთვის უცხოა ვიწროუწყებრივი მიდგომა. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ ტექნოპარკების შექმნაში ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, იმის გააზრებით, რომ ეს მისი საქმეა, ისევე, როგორც ის ქმნიდა უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს, საცდელ ქარხნებსა და ა.შ.

ინოვაციების ციკლის სრული რეალიზაცია ითხოვს საინოვაციო საქმიანობის ტრადიციული სუბიექტების შევსებას ახალი სუბიექტით, რომელიც მოახდენს გასულ ეტაპებზე შექმნილი ინოვაციების შედეგების კომერციალიზაციას, აკავშირებენ მათ მომხმარებელთან, რომელიც საინოვაციო პროცესიის "გვირგვინია", ვინაიდან იგი ადრესატმომხმარებლამდე მიჰყავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს, მათ შორის - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც დაწყებულია აღნიშნული პროცესი, გააჩნიათ შესაბამისი ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებების, კვლევითი სამუშაოების და გამოცდების ჩასატარებლად, სამრეწველო ნაწარმის დასამუშავებლად. ასეთი ინფრასტრუქტურის შუაგულს, საოფისე მოწყობილობისა და კავშირგაბმულობის საშუალებების ტრადიციული ნაკრების გარდა, წარმოადგენს საზომი და საცდელი მოწყობილობების უბანი, რომელიც გვაძლევს მისი გამოყენების საშუალებას არა მხოლოდ გამოგონებებისათვის, არამედ რიგი ხელსაწყოების სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად. მაგალითად, სითბოს აღრიცხვის, ძალისა და წნევის გადამწოდები, წყლის ექსპრეს-ანალიზის და მონიტორინგის ლაბორატორია, და მრავალი სხვა.

დარწმუნებული ვარ, ტექნოპარკები ბრწყინვალედ შეასრულებენ იმ სტრუქტურის ფუნქციებს, რომელიც აკავშირებს სამეცნიერო კვლევებს, საინოვაციო საქმიანობას და განახლებულ ბაზარს სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში. თანამედროვე პირობებში ისინი ხელს შეუწყობენ განათლების, მეცნიერების, წარმოების, ხელისუფლებისა და მომხმარებელთა ინტეგრაციას რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტ.მ.დ., სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
მ.ჯანიკაშვილი

ყვითელაშვილი სოლო ალბომს ინგლისში ჩაწერს

თემურ ყვითელაშვილი დაბრუნდა ლონდონიდან, სადაც ექსკლუზიური კომპოზიცია - "ხორუმის" ჩასაწერად გაემგზავრა. დამოუკიდებელმა ბრიტანულმა ხმისჩამწერმა კომპანიამ Liquid მუსიკოსი მიიწვია პროექტზე "მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტები". ამავე სახელწოდების ორმაგი ალბომი 2006 წლის დასაწყისში გამოვა გაყიდვაში. თავის დროზე ამ კომპანიამ გამოსცა ისეთი ჯგუფების ჩანაწერები, როგორებიცაა: Dimension Zero, Future Loop Foundations, Silk და Vanilla Ice. ინგლისში გამგზავრების ძირითადი შედეგი კი კომპანიის ხელმძღვანელების შეთავაზებაა: Liquid თემურ ყვითელაშვილის სოლო ალბომის ჩაწერით არის დაინტერესებული.

ყვითელაშვილი ერთადერთი მუსიკოსია პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელიც Liquid-ის მიმდინარე პროექტში მონაწილეობს.

რაც შეეხება მუსიკოსის გეგმებს, ლონდონში გამგზავრებამდე ყვითელაშვილმა გვითხრა, რომ სექტემბრიდან მორიგი ალბომის ჩაწერას დაიწყებს. 5 ნოემბერს კი სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დაგეგმილია მისი სოლო კონცერტი. ფილარმონიის სცენაზე გიტარისტი თავის ჯგუფთან ერთად (რომელიც მოსკოველი მუსიკოსებისგან შედგება) წარდგება. ამ ჯგუფთან თემურ ყვითელაშვილი უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში თანამშრომლობს.

24 საათი

ფესტივალი პირველი ლედის პატრონაჟით

გუშინ ბათუმში მუსიკის ფესტივალი - Pax Vobiscum დაიწყო. ღონისძიება საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონაჟით იმართება.

ფესტივალი ცნობილმა მევიოლინემ მარიანა იაშვილმა და კავკასიის კამერულმა ორკესტრმა გახსნა. ოთხი დღის განმავლობაში კონცერტებს გამართავენ კლასიკური მუსიკის ვარსკვლავები, ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მსახიობები - მურმან ჯინორია და ნინო ბურდული; მომღერალი ლიზა ბაგრატიონი, "ჯეოსტარის" გამარჯვებული აჩიკო ნიჟარაძე; ვოკალური ანსამბლები: "ბათუმი" და "ლარგო".

მუსიკალური ფესტივალი 14 აგვისტოს დასრულდება. ფესტივალის გენერალური სპონსორია "საქართველოს ბანკი".

"ინტერპრესნიუსი"

მოძრაობის თეატრი რეგიონებში გაემგზავრა

"კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრმა" საქართველოს მასშტაბით საზაფხულო ტურნე დაიწყო. საჩხერის რაიონის კულტურის სახლში წარმოდგენილი იყო სპექტაკლი "ჩუმად რეპეტიციაა!", რომელიც შარშან ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე დაიდგა. ამას გარდა, საჩხერეში გაიმართა ახალი ნოველის პრემიერა - ვარიაცია შექსპირის "ჰამლეტის" მიხედვით. *"ინტერპრესნიუსი"*

ტონი ბლერი: თამაშის წესები იცვლება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მე ისიც კარგად ვიცი, რომ ამგვარ განწყობას თან ახლავს მტკიცე ნება იმისა, რომ მცირერიცხოვანმა, მაგრამ ფანატიკურად განწყობილმა უმცირესობამ არ ისარგებლოს ხალხის ტოლერანტობითა და კეთილმოსურნეობით; ამასთან დაკავშირებული აღშფოთების შესახებაც კარგად ვიცი.

ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში რამდენიმეჯერ მომმართეს თხოვნით, მკაცრი ზომები მიმეღო მათ წინააღმდეგ, ვინც ექსტრემიზმს მიმართავს; განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც ექსტრემიზმს აღვივებს და ქადაგებს. ბრიტანეთის მაჰმადიანი საზოგადოება ჩვენი თანამოაზრეა ამ საქმეში. ექსტრემიზმის აღმოსაფხვრელად მიმართული მკაცრი ზომების ყველაზე ერთგული მომხრე და მკაცრი მომთხოვნი თვით მაჰმადიანები არიან. მათ ის აღაშფოთებთ, რომ ფანატიკურად განწყობილი ჯგუფის ქმედებებს მაჰმადიანთა მთელი საზოგადოების რეპუტაციის დაზარალება შეუძლია.

ამგვარი ზომების მიღება ადრე დავის საგანი ხდებოდა ხოლმე. კანონის ყოველ გამკაცრებას ხალხი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა. მთავრობას ხშირად უგემია მარცხი პარლამენტსა თუ სასამართლოში. ანტიტერორისტული კანონმდებლობა, რომელიც, 2001 წელს, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ იქნა მიღებული, ნაწილობრივ უმოქმედოდ იქნა გამოცხადებული. მის შემდგომ მიღებული საკანონმდებლო აქტებიც ცხარე კამათის საგანი გახდა.

დღეს, გასაგები მიზეზების გამო, განწყობა სხვაგვარია. ადამიანები აღარ საუბრობენ "შიშის თესვის მცდელობაზე". სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ კონსერვატორთა პარტიის ხელმძღვანელობამ, ისევე როგორც ლიბერალ-დემოკრატებმა, ქვეყნის საკეთილდღეოდ თანამშრომლობის გულწრფელი სურვილი გამოთქვეს.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ბრიტანეთში ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით, მთავრობაში ინტენსიური შეხვედრები მიმდინარეობდა. დღეს მინდა წარმოვადგინო მთავრობის ხედვა იმ ზომების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ განხილვას საჭიროებს. განხილვის დასრულებამდე გატარდება ადმინისტრაციული ზომები, რადგან ეს კანონმდებლობის მიღებას არ მოითხოვს.

საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ საკითხებზე მუშაობის პროცესში დეტალურად გავეცანით სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი, ევროპული ქვეყნების გამოცდილებას ამ სფეროში. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში გამოქვეყნდება საკონსულტაციო სახის დოკუმენტები, სადაც მოცემული იქნება სხვა ქვეყნების გამოცდილების დეტალური კვლევა. მთავრობაში შეიქმნება საუწყებათაშორისო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევლენ საგანგებოდ შერჩეული მაღალი რანგის მოხელეები. დაზვერვისა და უშიშროების კოორდინატორის ბილ ჯეფრის და მინისტრთა კაბინეტის კონტრტერორიზმის კომიტეტის - რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ - ხელმძღვანელობით, ეს ჯგუფი გაუძღვება სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ამ საქმიანობის კოორდინირება მინისტრთა კაბინეტის მხრიდან დაევალება შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელთან ერთადაც ბოლო კვირის განმავლობაში ძალზე ინტენსიურად ვმუშაობდი.

წარმოგიდგენთ იმ ზომებს, რომელთა გატარება ამჟამად მიმდინარეობს და მათაც, რომლებიც განხილვის პროცესშია:

1. შინაგან საქმეთა მინისტრი გამოაქვეყნებს ქმედებათა იმ ახალ ჩამონათვალს, რომელიც დეპორტაციის საფუძველი გახდება. დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, კანონით მინიჭებული უფლების საფუძველზე, შინაგან საქმეთა მინისტრის პრეროგატივაა. ახალ ჩამონათვალში დეპორტაციის საფუძვლად ჩაითვლება სიძულვილის გაღვივება, მრწამსის განმტკიცების მიზნით ძალადობისაკენ მოწოდება, ამ ძალადობის გამართლება ან მისი მხარდაჭერა. დეპორტაციის ზემოხსენებული საფუძვლების განხილვა აგვისტოს ბოლოსათვის დასრულდება. დღესაც კი, დეპორტაციის მოქმედი საფუძვლების ფარგლებში, უკვე კეთდება მინიშნება ახლებურ მიდგომაზე დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების საკითხში. ტყუილად არავის ჰქონდეს იმედი; თამაშის წესები იცვლება. რასაკვირველია, მოხდება ამ წესების გამოცდა სასამართლოებში. დღემდე არის იმის საშიშროება, რომ დეპორტაციის შესახებ მიღებულ ბრძანებებს "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" მესამე მუხლის თანახმად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლო გააუქმებს, როგორც ეს 1996 წელს ჩაჰალის საქმის განხილვისას მოხდა. და მართლაც, სასამართლოს არაერთი ასეთი ბრძანება გაუუქმებია.

მაგრამ, დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია შეიცვალა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის ქვეყანა, რომელშიც მოხდება პირთა დეპორტაცია, დაგვიდასტურებს, რომ "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" მესამე მუხლის მოთხოვნების საპირისპიროდ, არ მოხდება ამ პირთა წამება და არ განხორციელდება მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა. ჩვენ ხელი მოვაწერეთ "მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ" იორდანიასთან; უკვე დასრულების სტადიაშია შეთანხმების მიღწევა სხვა შესაბამის ქვეყნებთან. მაგალითად, ძალზე კონსტრუქციული საუბრები მქონდა ალჟირისა და ლიბანის მმართველ პირებთან. დაახლოებით ათი ქვეყნიდან უკვე ველით დადებით შედეგს ამ საკითხში შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით.

საფრანგეთი და ესპანეთი, სხვა ევროპულ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვა, დეპორტირებას ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე ახდენენ. დეპორტირება დაუყოვნებლივ ხორციელდება და, ხშირ შემთხვევაში, მისი გასაჩივრება ვეღარ ცვლის არსებულ გადაწყვეტილებას, რადგან გასაჩივრება ქვეყნის გარეთ ხდება. დეპორტირებული პირის მიმღები ქვეყანა იძლევა გარანტიებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ამ ქვეყნის სასამართლო სისტემის მოთხოვნებთან. ეს ქვეყნები, აგრეთვე, ექვემდებარებიან "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" მოთხოვნებს და უშუალოდ აღასრულებენ მათ.

ამდენად, ბრიტანეთში დღეს არსებული განსხვავებული სიტუაციის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია ამ საკითხების თავიდან გამოცდა. თუკი ადგილობრივი კანონმდებლობა დაბრკოლებებს შეგვიქმნის, ჩვენ მის დახვეწაზე ვიმუშავებთ. თუკი საჭირო გახდება, შესწორებებს შევიტანთ "აქტში ადამიანის უფლებების შესახებ", "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" მოთხოვნების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ვაწარმოებთ კონსულტაციებს საკანონმდებლო საკითხებში, განსაკუთრებით დეპორტაციასთან დაკავშირებულ გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

დეპორტაციასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ასპექტზე მოგახსენებთ. როგორც კი ძალაში შევა ზემოხსენებული ახალი ჩამონათვალი, რომელიც დეპორტაციის საფუძველს წარმოადგენს, შედგება ექსტრემისტული ინტერნეტგვერდების, წიგნის მაღაზიების, ცენტრების, ქსელების და საეჭვო ორგანიზაციების სია. ამ სიაში შეტანილ ნებისმიერ ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობა გამოიწვევს უცხო ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის დეპორტაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

2. როგორც ადრე მოგახსენეთ, შემოდგომაზე დასრულდება ახალი ანტი-ტერორისტული კანონმდებლობის მიღება. კანონმდებლობის მიხედვით ტერორიზმის ხელშეწყობა და მისი განდიდება დანაშაულად ჩაითვლება. ბოლო დღეებში გამოთქმული მოსაზრებები სწორედ ამ კანონის საფუძველზე დაისჯება. კანონი გამოყენებული იქნება არა მხოლოდ გაერთიანებულ სამეფოში, არამედ ყველგან, სადაც ტერორიზმის გამართლება და განდიდება მოხდება.

3. ყველა ის, ვინც ტერორიზმში მონაწილეობს ან რაიმე შეხება აქვს ტერორიზმთან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ავტომატურად მიიღებს უარს თავშესაფარზე.

4. ჩვენ უკვე გვაქვს სათანადო უფლებამოსილება, ჩამოვართვათ მოქალაქეობა ბრიტანეთის მოქალაქეებს ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე იმ პირებს, რომლებიც მოქმედებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. გაიმართება კონსულტაციები მაჰმადიან ლიდერებთან იმ სასულიერო პირების შესახებ, რომლებიც არ არიან ბრიტანეთის მოქალაქეები. კონსულტაციების შედეგად შევადგენთ ნუსხას იმ პირებისა, რომლებიც შეუფერებელნი არიან სასულიერო საქმიანობისათვის და ამის გამო გაძევებულნი იქნებიან ბრიტანეთიდან.

5. სრულიად მიუღებელია რაშიდ რამდას საქმის მსგავსი მაგალითების არსებობა. რაშიდ რამდა, რომელსაც პოლიცია ათი წლის წინ პარიზის მეტროს აფეთქებასთან დაკავშირებულ საქმეზე ეძებს, ბრიტანეთშია, საფრანგეთი კი მის ექსტრადიციას ითხოვს. ჩვენ ვიწყებთ კონსულტაციებს ტერორიზმთან დაკავშირებული ექსტრადიციის საქმეებში მაქსიმალური ვადის დაწესებასთან დაკავშირებით.

6. განხილვის სტადიაშია ახალი სასამართლო პროცედურა, რომელიც დასაშვებს გახდის სასამართლოს წინა პროცესის წარმართვას. ჩვენ განვიხილავთ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ისეთი პროცედურის მიღება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, გავითვალისწინოთ პოლიციისა და უშიშროების სამსახურის თხოვნა, საგრძნობლად გაიზარდოს წინასწარი დაკავების ვადა ტერორიზმთან დაკავშირებულ ეჭვმიტანილთა შემთხვევაში.

7. ბრიტანეთის მოქალაქეების მიმართ, რომელთა დეპორტაცია ვერ მოხდება, ჩვენ კონტროლის მექანიზმების გამოყენებას გავაძლიერებთ. მათი ნებისმიერი დარღვევა სატპატიმრო სასჯელის საფუძველი გახდება.

8. ტერორიზმთან დაკავშირებული საქმეების განხილვაში სასამართლოს პოტენციალის გაზრდის მიზნით, ლორდ კანცლერი გაზრდის ამ საქმეებით დაკავებული სპეციალური მოსამართლეების რიცხვს.

9. ჩვენ ოფიციალურად ავკრძალავთ იზბ-უთ-თარირს (Hizb-ut-Tahrir) და ალ მუჯაჰირების (Al Mujahiroun) ორგანიზაციის მემკვიდრე ორგანიზაციას. ჩვენ ასევე განვიხილავთ და გავაფართოვებთ იმ მიზეზთა ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც ხდება აკრძალვა; შევიმუშავებთ ახალ საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტს აკრძალვასთან დაკავშირებით.

10. დღეს ბრიტანეთის მოქალაქეობის მისაღებად პირი უნდა დაესწროს მოქალაქეობის გადაცემის ცერემონიალს, დადოს ქვეყნისადმი ერთგულების ფიცი და ფლობდეს ინგლისური ენის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს. ჩვენ გადავხედავთ ამ საკითხებს და უზრუნველვყოფთ მათ ადეკვატურობას. ბრიტანეთის მაჰმადიან საზოგადოებასთან ერთად შევქმნით კომისიას, რომელიც დაეხმარება მაჰმადიანი საზოგადოების ნაკლებად ინტეგრირებულ ნაწილს საზოგადოებაში უკეთ ინტრეგირებაში, ბუნებრივია, სრულ შესაბამისობაში ამ ადამიანების სრულ უფლებასთან, ილოცონ ისე, როგორც მათ სურთ და მისდიონ თავიანთ რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებს.

11. გაიმართება კონსულტაციები ახალი უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ისეთი სალოცავის დახურვას, რომელიც ექსტრემიზმის ხელშეწყობას ემსახურება. გაიმართება კონსულტაციები მაჰმადიან ლიდერებთან იმ სასულიერო პირების შესახებ, რომლებიც არ არიან ბრიტანეთის მოქალაქეები. კონსულტაციების შედეგად შევადგენთ ნუსხას იმ პირებისა, რომლებიც შეუფერებელნი არიან სასულიერო საქმიანობისათვის და ამის გამო გაძევებულნი იქნებიან ბრიტანეთიდან.

12. შემოვიტანთ წინადადებებს სასაზღვრო უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით, სადაც განხილული იქნება ის ქვეყნები, რომლებისთვისაც მომავალი წლის განმავლობაში ბიომეტრული ვიზების შემოღება იქნება გათვალისწინებული. შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები უკვე მუშაობენ იმ პირთა საერთაშორისო მონაცემთა ბანკის შედგენაზე, რომელთა საქმიანობაც საშიშია ბრიტანეთის უსაფრთხოებისათვის. ყველა იმ პირს, რომლის მონაცემებიც ამ ბანკში იქნება შეტანილი, აეკრძალება ქვეყანაში შემოსვლა, ხოლო ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ ქვეყნის გარეთ იქნება შესაძლებელი.

ყველა ამ საკითხზე ჩვენ სხვა პოლიტიკურ პარტიებთანაც ვრცელ კონსულტაციებს გავმართავთ. ბუნებრივია, ეს არ არის იოლი, მაგრამ აუცილებელია. მინდა კიდევ ერთხელ კარგად განვმარტო, თუკი კანონმდებლობის შემუშავება დროულად მოხდება და კონსენსუსს მივაღწევთ, მზად ვართ პარლამენტი სექტემბერში მოვიწვიოთ, რათა დაიწყოს დებატები ზემოხსენებულ ზომებთან დაკავშირებით.

მინდა, კიდევ ერთხელ ნათლად განვაცხადო, რომ ეს ზომები არ არის მიმართული წესიერ, კანონმორჩილ მაჰმადიან საზოგადოებაზე, რომელიც ბრიტანეთში ცხოვრობს. ჩვენ ვიცნობთ იმ ჯგუფს, რომელიც სულაც არ წარმოადგენს ისლამურ სარწმუნოებას. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბრიტანელი მაჰმადიანები გმობენ ამ ექსტრემისტთა ქმედებებს. ვაღიარებთ რა მაჰმადიანთა დიდ წვლილს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ჩვენ მივესალმებით მათ. ჩვენ კეთილად ვიღებთ იმათ, ვინც ბრიტანეთში მშვიდობიანი მიზნით ჩამოდის, მივესალმებით მათ, ვინც იცის, რომ ამ ქვეყანაში სხვა ერთა პატივისცემა და ტოლერანტობა, რისაც ჩვენ მყარად გვწამს, ყველაზე დიდი გარანტიაა ყველა აღმსარებლობის ადამიანთა თავისუფლებისა და განვითარებისათვის.

თუმცა, ბრიტანეთში ჩამოსვლა არ არის უფლება. იმათთვისაც, ვინც უკვე ჩამოვიდა ბრიტანეთში, აქ დარჩენა გარკვეულ მოვალეობებთანაა დაკავშირებული. ეს მოვალეობები გულისხმობს იმ ფასეულობების გაზიარებას და პატივისცემას, რომლებიც ბრიტანული ცხოვრების წესს განაპირობებს. მას, ვინც თავს არიდებს ამ მოვალეობას და ცდილობს დათესოს ზიზღი ან იძალადოს ჩვენი ქვეყნის და მისი ხალხის წინააღმდეგ, არაფერი ესაქმება ამ ქვეყანაში. რამდენიმე თვის განმავლობაში ბრიტანეთის სასამართლოებში, პარლამენტში, აგრეთვე, საზოგადოების ყველა წარმომადგენლებთან კონსულტაციების გზით ჩვენ ვიმუშავებთ, რათა ხორცი შევასხათ ჩვენს მისწრაფებებს. ეს ჩემი, როგორც პრემიერ მინისტრის მოვალეობაა."

ლონდონი,
5 აგვისტო, 2005 წ.

ნინია კაკაბაძის სვეტი

მოგწონთ ახალი ასფალტი?

ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე პრეზიდენტობის დროს, საქართველოში იყო მცდელობა, რომ ახალი ფენა, კლასი თუ მენტალურად და იდეოლოგიურად გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები ჩამოყალიბებულიყო. იყო მცდელობა, რომ მათ ახალი სახელწოდებები ჰქონოდათ, მაგალითად, - წითელი ინტელიგენცია, ჭეშმარიტი ინტელიგენცია, "კაგებეშნიკი", სუკის აგენტი და ა.შ. მაგრამ, ყველაფერ ამას რომ არაჯანმრთელი იერი ჰქონდა, ამიტომაც მოხდა, რომ მაშინდელი დიფერენციაცია მხოლოდ სახელწოდებების დონეზე დარჩა, რომელთა შესახებ მომავალი თაობა ვერ გაიგებს. მათ კი ვისაც იმ პატარა პერიოდში მოუწია ცხოვრება, ყოველთვის ემახსოვრება სახელმწიფო რადიოს ეთერში მჭახე ტემბრის მქონე ქალბატონებისა და ბატონების ხმები, რომელნიც ახალი "მოღალატეების" და "გმირების" სახელებს დაჟინებით გვინერგავდნენ.

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებისთანავე ყველაფერი "თავის ადგილზე" დადგა. ცოტა ხნის წინ წითელი, ისევ პრივილეგირებული ინტელიგენტები გახდნენ, "კაგებეშნიკებმა" ისევ გააგრძელეს საყვარელი საქმიანობა და მაშინდელ ჭეშმარიტ ინტელიგენციად წოდებულთათვის, დღეს ისევ ოცნებად დარჩა "ჭეშმარიტი ინტელიგენტობა". პრაქტიკულად, კომუნისტურ ხანასა და შევარდნაძის პოსტპერიოდს შორის განსხვავება არ იყო. ისევ გვყავდნენ ფავორიტი მექრთამეები, ანუ კორუმპირებულები, საყვარელი მწერლები, მხატვრები, თეატრისა თუ კინოს რეჟისორები და სხვა. გამონაკლისები კი ყოველთვის არსებობდნენ, რომელნიც გამსახურდიას, შევარდნაძის თუ სააკაშვილის ეპოქაში ერთანირად ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ საკუთარ საქმეს.

სამწუხაროა, რომ უკანასკნელ კარდინალურ დიფერენცირებას ჩვენს ქვეყანაში მუდმივად ერთი ადამიანი ახდენს. ეს ერთი ადამიანი კი მუდმივად ქვეყნის მეთაური, ხან ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ხან პრეზიდენტია. ვინ მოსწონს მას, ვის მოსწონს იგი, ვინ ემსახურება მას ერთგულად და ვინ ეწინააღმდეგება. ეს ჯგუფები მუდმივად ამგვარი მარტივი დამოკიდებულების მიხედვით ყალიბდება. წინააღმდეგობა, როგორც კომუნისტურ ეპოქაში, ასევე დღეს ძალიან რთულია, თანხმობა კი დღესაც იდილიური არსებობის გარანტიაა. სამწუხაროდ, აშკარა ცვლილებები აქ არ შეიმჩნევა. მხოლოდ ძალიან პატარა პერიოდში, ახლო წარსულში, შევარდნაძის ეპოქაში გაჩნდნენ დამოუკიდებელი ადამიანები, არასამთავრობო ორგანიზაციები, არაპრივილეგირებული საზოგადოების წევრები, რომელნიც არ იყვნენ პრეზიდენტის ფავორიტები, მაგრამ იყვნენ თავისუფლად და რიგ შემთხვევაში კომფორტულად. იმის გამო, რომ მათ შესაბამისად არ აშინებდნენ, საჯაროდ საუბრის უფლებას აძლევდნენ, მათ საზოგადოების ნდობა დაიმსახურეს. მაგრამ ეს არ იყო სწორი, ფიქრობს დღევანდელი ხელისუფლება და ცდილობს ამგვარი შეცდომა თავად არ დაუშვას. საქართველო ჯერ არ არის მზად იმისათვის, რომ იყოს დემოკრატიული, ფიქრობს დღევანდელი პრეზიდენტი და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირი. რასაკვირველია, რაც უფრო თავისუფალია საზოგადოება, მით მეტია ხელისუფლების არასტაბილურობის რისკი. შევარდნაძის სისტემამ რომ არ გაამართლა, ეს ფაქტია მისი ფინალიდან გამომდინარე. ამიტომ დღევანდელი ხელისუფლება მეორე უკიდურესობას მიმართავს. ის არ ხედავს მოწინააღმდეგეში მხოლოდ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს, მოწინააღმდეგე მისი მტერია. დღევანდელი ხელისუფლება არ არის ლოიალური მისი ოპონენტის მიმართ, ის მუდმივად ცდილობს მის შეშინებას, მისი სიძლიერის დამტკიცებას და მტრად გამოცხადებას. მაშინ, როდესაც ვამბობთ ხელისუფლებას, ვგულისხმობთ პრეზიდენტს, ვინაიდან, ისევე როგორც დემოკარატია არის ნაადრევი ცნება საქართველოში, ასევეა ხელისუფლება (ინდივიდების ნაკლებობას, სამწუხაროდ, საქართველო ყოველთვის განიცდიდა). ქვეყანას დღესაც ერთი ადამიანი მართავს - პლიტიკურად, ეკონომიკურად, ფინანსურად და, რაც მთავარია, - იდეოლოგიურად.

ამიტომ დღეს მოიშალა ყველა ზემოთ ნახსენები სახელობითი დაჯგუფება, დღეს ქვეყანა ორ ბანაკად იყოფა. თუ პრეზინდენტს და მის პოლიტიკას მთლიანად იზიარებ, მაშინ ინტელიგენტიც ხარ, ფულიც გაქვს, თავისუფლებაც და კომფორტიც, თუ მას არ ემხრობი, შეგეშალა და ეს ერთხელ მაინც საჯაროდ განაცხადე, აღარაფერი გაქვს და რაც ყველაზე სამწუხაროა, მუდმივად შიშში გიწევს არსებობა; ამ შემთხვევაში ან ხალხის მტრად გამოგაცხადებენ, ან დაგიჭერენ, ან ახლობელს დაგიჭერენ ან კი დაჭერით შეგაშინებენ. ახალი ტიპის "ინტელიგენციაც" ჩამოყალიბდა, რომელიც საქართველოს "ნათელი მომავლისათვის" იღწვის და პრეზიდენტს დამატებით ინფორმაციას აწოდებს "ერის მოღალატეების" შესახებ. ბუნებრივია, როგორც დემოკრატიაა საქართველოსგან შორს, ასევე შორს არის პრეზიდენტის დამოუკიდებელი აზროვნებაც და ამიტომ "ერთგული მსახურების" აზრი ყოველთვის გათვალისწინებულია. ერთი სიტყვით, საქართველოში რომ არაჯანსაღი მდგომარეობაა ეს ნათელია, გასულ პერიოდთან მსგავსებაც ბევრია და სხვაობაც, გარდატეხის ეპოქა ალბათ რეალურად ახლა დგება, სადაც ახალი გმირები, ახალი მოღალატეები, ახალი ფასეულობები, ახალი ცხოვრების წესი, ახალი პუბლიცისტი მწერლები, ახალი მხედრიონი, ახალი გვარდია და ახალი ღირებულებები ყალიბდება. დღეს არ შეიძლება - მოგწონდეს ახალი ასფალტი, რუსული ჯარების გასვლა, პატრული, განათლების რეფორმა, თუნდაც ახალი პრეზიდენტი და ამავე დროს არ მოგწონდეს უსამართლობა უზენაეს სასამრთლოში, ახალი კორუმპირებული ჩინოვნიკები, უდანაშაულო პატიმრები, ახალი ფსევდოგმირები და კარიერისტი, კორუმპირებული პროკურორები.

დღეს, იმისათვის რომ თავისუფალი იყო და მორალურ თუ ფიზიკურ ციხეში არ მოხვდე, ყველაფერი უნდა მოგწონდეს. მოგწონს ახალი ასფალტი? მაშინ ახალი ნომენკლატურაც უნდა მოგწონდეს!

ვის უფრო მეტი ვარსკვლავი ჰყავს

"მილანმა" "რეალს" აჯობა

პროფესიონალ ფეხბურთელთა მსოფლიო ასოციაციამ გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებულ "მსოფლიო ნაკრებში" მოხვედრის პრეტენდენტთა 55-კაციანი სია. ამ სიის თანახმად, ვარსკვლავური შემადგენლობის თვალსაზრისით, იტალიის "მილანმა" მადრიდის "რეალსაც" კი გაუსწრო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ფეხბურთის სპეციალისტთა უმეტესობის შეხედულებით, მადრიდის "რეალი" პლანეტის ყველაზე ვარსკვლავურ გუნდად იყო მიჩნეული. "სამეფო კლუბს" მეტად პომპეზური მეტსახელი - "გალაქტიკოსიც" კი შეარქვეს. ფიფას ჩინოვნიკებიც რეგულარულად მხარს უჭერდნენ ამ მოსაზრებას და "რეალს" ლამის ყოველწლიურად აჯილდოებდნენ სხვადასხვა საპატიო ტიტულებით. ასე მაგალითად, 1998 წელს ფიფამ ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო კლუბად მადრიდის "რეალი" დაასახელა, ხოლო ორი წლის შემდეგ ამ ტიტულს XX საუკუნის საუკეთესო კლუბის ტიტულიც დაუმატა.

როდესაც მწვანე მინდორზე გამოდიოდნენ რონალდო, ზიდანი, ფიგუ, რობერტო კარლოსი, ბექჰემი და სხვა მეგავარსკვლავები, საკუთარ რეპორტაჟებში კომენტატორები არც თუ უსაფუძვლოდ უწოდებდნენ "რეალს" მსოფლიო ნაკრებს. თუმცა, 2002 წელს ასწლიანი იუბილეს პომპეზურად გადახდის შემდეგ "სამეფო კლუბი" ერთგვარად გაუფერულდა. "რეალის" მოთამაშეთა სია ყველა მოწინააღმდეგეში კვლავაც შიშს იწვევდა, მაგრამ ეს სუპერვარსკვლავები ძველებურად ვეღარ თამაშობდნენ.

ფიგუ მილანის "ინტერში" გადავიდა, სხვა ვარსკვლავებსაც წლები შეემატათ, ხოლო ზიდანს, არც მეტი, არც ნაკლები, ღამ-ღამობით რაღაც მისტიკური ხმები ესმის. წინა პლანზე წამოიწია ახალგაზრდა ვარსკვლავების თაობამ - კრიშტიანუ რონალდო და უეინ რუნი. ბრწყინვალედ ათამაშდნენ არც თუ ისე ახალგაზრდა ფეხბურთელებიც, რომლებიც აქამდე უფრო ტიტულოვანი კოლეგების ჩრდილში იმყოფებოდნენ. მაგალითად, ანდრეი შევჩენკო "მილანის" შემადგენლობაში ნამდვილი სუპერვარსკვლავი გახდა.

პროფესიონალ ფეხბურთელთა მსოფლიო ასოციაციის ვერსიის თანახმად, ყველაზე ძლიერი ვარსკვლავური შემადგენლობა ეროვნულ ნაკრებთა შორის ჰყავს ინგლისს, ეროვნულ ლიგებს შორის - ინგლისის პრემიერლიგას, ხოლო კლუბებს შორის - იტალიის მილანს.

ისევ 55-კაციან სიას დავუბრუნდეთ, რომელშიც 10 ინგლისელია, 9 - ბრაზილიელი, 7 იტალიელი, 5-5 ფრანგი და არგენტინელი, 4-4 ჰოლანდიელი და პორტუგალიელი, 3 ესპანელი, 2-2 გერმანელი და ჩეხი, თითო უკრაინელი, შვერი, კამერუნელი და კოტ დიუვარელი. პოსტსაბჭოურ სივრცეს ამ სატპატიო ჩამონათვალში მხოლოდ ანდრეი შევჩენკო წარმოადგენს.

სიაში იტალიის "მილანი" 10 ფეხბურთელითაა წარმოდგენილი, ინგლისის "ჩელსის" საკუთარ რიგებში 8 ნომინანტი ჰყავს, მადრიდის "რეალს" - 7, 6-6 ფეხბურთელი მოხვდა ნომინანტებს შორის "მანჩესტერ იუნაიტედიდან", "იუვენტუსიდან" და "ბარსელონადან", "არსენალი" 4 ფეხბურთელითაა წარმოდგენილი, "ინტერს", "ბავარიას" და "ეინდჰოვენს" ნომინანტთა შორის 3-3 ფეხბურთელი ჰყავთ, მხოლოდ თითო ფეხბურთელით მოიწონებენ თავს ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული "ლივერპული" და "ვალენსია".

ეროვნულ ჩემპიონატებს შორის ყველას ინგლისის პრემიერლიგამ გადაუსწრო, სადაც 19 ნომინანტი თამაშობს, იტალიის სერია A-ს ერთი ვარსკვლავით ნაკლები ჰყავს, 13 ნომინანტი მოდის ესპანეთის პრიმერადივიზიონზე, 3 - ბუნდესლიგაზე და 2 - ჰოლანდიის ჩემპიონატზე.

გამოკითხვაში, რომლის შედეგების მიხედვით შედგა ეს სია, მიმდინარე წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით, 38 ათასმა პროფესიონალმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

მაიორგას ბაქი-ბუქი

მაიორგა ჩიკაგოს ყველაზე სწრაფ ნოკაუტს ჰპირდება.

პირველი საშუალო წონის (69.855კგ.) ყოფილი ჩემპიონი ნიკარაგუელი რიკარდო მაიორგა (27-5-1, აქედან 31 ნოკაუტით), რომელიც 13 აგვისტოს იტალიელ მიქელე პიჩირილოს (44-2-0, აქედან 28 ნოკაუტით) ჩიკაგოს რინგზე კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) მიერ გამოცხადებული ვაკანტური ტიტულისთვის უნდა შეერკინოს ჩხუბამდე ორი დღით ადრეც დარწმუნებულია იმაში, რომ მეტოქეს სწრაფად და იოლად გაუმკლავდება.

"ჩიკაგო ყველაზე სწრაფი ნოკაუტის მომსწრე შეიქნება, - პიჩირილო იმდენად გაძვალტყავებულია, რომ ეტყობა, სახლში არაფერი აქვს, მე კი მის დანოკაუტებას ვაპირებ. ხოლო როდესაც მივბეგავ, სასტუმროსკენ გავემართები და მასა და მის გუნდს ბარგის შეკვრაში დავეხმარები, რათა შინ გაეშურონ და ცოტაოდენი პიცა მოამზადონ.

ვიმედოვნებ, ჩიკაგოში იტალიურ ლუდს ჩამოიტანს, რათა ბრძოლის შემდეგ მისი სადღეგრძელოს დალევის საშუალება მქონდეს.

დღეს კრივში ჩემზე უკეთესი არავინაა და შაბათ საღამოს ამაში ყველა დარწმუნდება. ვიცი, რომ ფერნანდო ვარგასიც ქალაქშია (მაიორგას ვარგასთან ორთაბრძოლის წყურვილი კლავს). ვიმედოვნებ, ორთაბრძოლის საცქერლად მოვა და პიჩირილოს კუთხის სიახლოვეს მოკალათდება, ხოლო მას შემდეგ, როდესაც პიჩირილოს დავანოკაუტებ, მასაც ექნება საშუალება ამოვიდეს რინგზე, რათა იტალიელის ბედი გაიზიაროს".

რა თქმა უნდა, მაიორგას ბაქი-ბუქმა IBF-ის (კრივის მსოფლიო ფედერაცია) ყოფილი ჩემპიონის მიქელე პიჩირილოს ყურამდეც მიაღწია (სხვათა შორის, იტალიელს საკუთარ აქტივში კორი სპინკსიც ჰყავს დამარცხებული, რომელსაც თავის მხრივ მაიორგასთვის აურთმევია ტიტულები. რედ.). იტალიელი ნიკარაგუელს ურჩევს ნაკლებად თვითდაჯერებული იყოს და მომავალ ორთაბრძოლას საღი თვალით შეხედოს: "ყველაფერი გავიგე, რაც თქვა. მინდა გითხრათ, რომ ჩემსა და თქვენს ყურადღებას ტყუილუბრალოდ კარგავს. უმჯობესი იქნება, შაბათის ორთაბრძოლისთვის ენერგია შემოინახოს, რაც უდავოდ დასჭირდება, თუკი, რა თქმა უნდა, ჰგონია, რომ დამამარცხებს. მშვენიერ ფორმაში ვარ და ბრძოლის მოგებასაც ვაპირებ".

მოკლედ

ნაკატას "ბოლტონის" მაისურას აზომებენ

"როიტერის" ცნობით, ინგლისის საფეხბურთო კლუბი "ბოლტონი" უახლოეს დღეებში იტალიის "ფიორენტინას" იაპონელ ნახევარმცველ ჰიდეტოში ნაკატასთან გააფორმებს ხელშეკრულებას. "ბოლტონის" წარმომადგენელთა განცახდებით, იაპონელ ლეგიონერს მოთამაშის რანგში ინგლისელებს სამშაბათს წარუდგენენ.

"მანიუ" სისინიოს შეძენითაა დაინტერესებული

"მანჩესტერ იუნაიტედი" არ გამორიცხავს ახლო მომავალში შეიძინოს ბრაზილიის "სან პაულუს" 25 წლის მცველი სისინიო. ბრაზილიელი მცველით, როგორც ამაში ბი-ბი-სი გვარკვევს "მილანი" და "იუვენტუსიც" არიან დაინტერესებულნი, თუმცაღა ირკვევა, რომ სისინიო უკვე დიდ ბრიტანეთშია.

ალონსო "ფერარიზე" ალაპარაკდა

"რენოს" ესპანელი მრბოლი ფერნანდო ალონსო, რომლის "ფერარიში" შესაძლო გადასვლის თაობაზე დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტს საუბრობენ, ახლა თავადაც აღიარებს, რომ სკუდერიელებთან 2007 წლიდან შესაძლო თანამშრომლობას სერიოზულად უყურებს.

ყოველკვირეულ იტალიურ გამომცემლობა Autosprint-თან საუბარში ალონსო აცხადებს, "დღეს მე ვამბობ დიახს, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეს საჯარიბო ყველაზე სწრაფ მანქანებს აწყობდა. ნებისმიერი მრბოლი ოცნებობს საუკეთესო მანქანის საჭეს მართავდეს, კერძოდ რომელს - ეს უკვე დროის საკითხია. ფაქტია, დღეს არავინ იტყოდა უარს "რენოს" ან "მაკლარენის" კოკპიტში მოკალათებაზე, რადგან ეს გუნდები იგებენ. როდესაც ჩემი "რენოსთან" კონტრაქტი ამოიწურება, შესაძლო ვარიანტებსაც განვიხილავ".

მართალია, ალონსოს "ფერარიში" გადასვლა დროთა განმავლობაში აქტუალურობას იძენს, მაგრამ ესპანელ მრბოლს აქედანვე არ მოსწონს სკუდერიელთა პოლიტიკა, რომელიც აქცენტს ერთ მრბოლზე აკეთებს: "თითოეული ქულა ჩემი საკუთარი ოფლით მაქვს მოპოვებული. "ფერარიში" კი ყოველთვის პირველ-მეორე ნომრებად ყოფდნენ მრბოლელებს. დანარჩენ ცხრა საჯარიბოში ბოლიდები თითქმის თანაბრადაა გამართული.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის მთავრობა (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ტენდერს ქ. ბათუმში რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩების რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

ლოტი N1 რუსთაველის ქუჩის ტროტუარების დეკორატიული ფილებით მოწყობის სამუშაოები;

ლოტი N2 ნინოშვილის ქუჩის (მელიქიშვილის ქუჩიდან სასტუმრო მესხეთამდე) რეკონსტრუქციის სამუშაოები.

3. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის პერიოდი.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 29 აგვისტოდან 2005 წლის 30 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თოაბაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

დ) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე. (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით);

ე) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

6. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დეკორატიული ფილის ნიმუში.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 1 სექტემბრის წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2005 წლის 5 სექტემბრიდან 2005 წლის 6 სექტემბრის 17 საათამდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის მთავრობის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთ ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება.

13. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

14 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ირაკლი ანანიძე ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის მთავრობა (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ტენდერს ქალაქის ტერიტორიაზე გზების, მოედნების და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ქუჩების და მოედნების საერთო ფართობია 2 250 000 კვ.მ. აქედან ასფალტ-ბეტონის საერთო ფართობი შეადგენს 1 400 000 კვმ-ს, გადაუდებელ საორმო-შეკეთებით სამუშაოებს საჭიროებს 27 ქუჩა საორიენტაციო ფართით 13 000 კვმ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 29 აგვისტოდან 2005 წლის 30 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თოაბაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

დ) ლიცენზია საგზაო სამუშაოების წარმოებაზე. (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით);

ე) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 1 სექტემბერს წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2005 წლის 5 სექტემბრიდან 2005 წლის 6 სექტემბრის 17 საათამდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის მთავრობის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ირაკლი ანანიძე ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

Четверг 11.08

06.00 "Сегодня утром". **08.20** Автомобильный спорт. **09.00** Документальный цикл "Гвардия". Фильм 6-й. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Вечерняя программа. **10.15** Погода. **10.20** Вечерняя программа. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.55** Вечерняя программа. **14.00** Сегодня. **14.15** Вечерняя программа. **14.30** Сериал "Полицейские будни". **15.35** Чрезвычайное происшествие. **15.45** Сериал "Ранетки". **16.00** Сегодня. **16.20** Ток-шоу "Пришел домой". **17.25** Сериал "Ментовские войны". **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.00** Сегодня. **19.40** Вечерний сериал "Мир ЕСТЬ Ф". **20.45** Сериал "Ментовские войны". **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** Сегодня. **22.40** Вечерний сериал "Мир ЕСТЬ Ф". **23.45** Хоккей. Битва в финале. **1.45** Вечерняя программа. **2.00** Сегодня. **2.25** Кулинарный поединок. **2.40** Сериал "Ранетки". **3.00** Сегодня. **3.15** Сериал "Ментовские войны". **4.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **5.00** Сегодня. **5.15** Сериал "Ментовские войны". **6.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **7.00** Сегодня. **7.15** Сериал "Ментовские войны". **8.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **9.00** Сегодня. **9.15** Сериал "Ментовские войны". **10.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **11.00** Сегодня. **11.15** Сериал "Ментовские войны". **12.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **13.00** Сегодня. **13.15** Сериал "Ментовские войны". **14.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **15.00** Сегодня. **15.15** Сериал "Ментовские войны". **16.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **17.00** Сегодня. **17.15** Сериал "Ментовские войны". **18.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **19.00** Сегодня. **19.15** Сериал "Ментовские войны". **20.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **21.00** Сегодня. **21.15** Сериал "Ментовские войны". **22.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **23.00** Сегодня. **23.15** Сериал "Ментовские войны". **0.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф". **1.00** Сегодня. **1.15** Сериал "Ментовские войны". **2.15** Сериал "Мир ЕСТЬ Ф

წერეთელისა თუ ბროდსკის წინააღმდეგ?

ზურაბ წერეთელისა და მოსკოვის ხელისუფლების გარშემო შექმნილი თითქმის ერთკვირიანი გაუგებრობის შემდეგ, ცნობილმა სკულპტორმა უარი თქვა საკუთარ განზრახვაზე - მოსკოვში ძეგლი დაუდგას იოსიფ ბროდსკის. "კატეგორიულად უარვყოფ რამდენიმე საინფორმაციო საშუალებით გავრცელებულ ცნობას. არ შეიძლება ასე მოტყუება", - განუცხადა ერთ-ერთ რუსულ საინფორმაციო სააგენტოს სკულპტორმა. წერეთელის თქმით, მას ნამდვილად აქვს შექმნილი ხელოვანი პოეტის ქანდაკება, მაგრამ ის ავტორის გალერეაში ინახება და სამუზეუმო ფასეულობას წარმოადგენს.

ცნობა წერეთელის გეგმის შესახებ ერთი კვირის წინათ გავრცელდა. ინფორმაციის თანახმად, სკულპტორის მიერ შექმნილი მონუმენტის პროექტი რუსეთის დედაქალაქის ხელისუფლებამ მოიწონა. ძეგლთან ერთად იგეგმებოდა სპეციალური სკვერის გაშენებაც. წერეთელი ამტკიცებდა, რომ შეარჩევდა მოსკოვში ადგილს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პროექტის განხორციელება. ამის შემდეგ, დედაქალაქის ხელმძღვანელობამ საპირისპირო ინფორმაცია გაავრცელა: წერეთლის ნამუშევრისთვის, კერძოდ კი, იოსიფ ბროდსკის მონუმენტისთვის გამოსაყოფად ხელისუფლების თანხმობა არ არსებობს. ამის შესახებ განაცხადა ქალაქის არქიტექტურული კომპლექსის, მშენებლობის, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ხელმძღვანელმა ვლადიმერ რესინმა.

ვითარებას უფრო ამძაფრებს ახლახანს ინტერნეტში განთავსებული წერეთელის მოწინააღმდეგეთა რესურსი. ხელოვნების მოყვარულებმა კომუნიკაციის ეს საშუალება გამოიყენეს იმისათვის, რომ ზურაბ წერეთელს "ბრინჯაოს მონსტრების" მოწინააღმდეგეთა ხელმოწერა შეაგროვონ. ჯერჯერობით უცნობია, რა ფორმატით მიაწოდებენ თავად სკულპტორს ინტერნეტში დაგროვილ ცნობებს. აქცია 4 აგვისტოს დაიწყო და არც მისი დასრულების ვადებია განსაზღვრული. აქციისადმი თავად ზურაბ წერეთელის დამოკიდებულება ჯერჯერობით უცნობია.

იოვოვიჩს "არტეკში" ელიან

ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი უკრაინაში საერთაშორისო საბავშვო ბანაკის 80 წლისთავის აღსანიშნავად ჩავა. "მეხუთე ელემენტისა" და "ჟანა დარკის" გმირის თქმით, ის უკრაინას დედასთან ერთად ესტუმრება.

მსახიობი გალინა ლოგინოვა ქმართან და ქალიშვილთან ერთად 1980 წელს ემიგრგირებული იყო საბჭოთა კავშირიდან. "ძალიან ბევრი მსმენია ამ ბანაკის შესახებ, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ იქ. ახლა მე ამისათვის შესანიშნავი საბაბი მაქვს", - განუცხადა იოვოვიჩმა "არტეკის" დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს.

"ადრეული ბავშვობის შემდეგ არც კიევში არ ვყოფილვარ. ძალიან მინდა, ჩემი სამშობლო ვიხილო ლამაზი, მდიდარი და ბედნიერი. თვალს ვადევნებდი მოვლენებს, რომელიც უკრაინაში ვითარდებოდა რევოლუციის დროს. ახლა უკვე გამიჩნდა იმედი, რომ უკრაინას სწორედ ასეთს ვნახავ", - ამბობს ცნობილი მსახიობი და მოდელი.

"არტეკის" საიუბილეო დღესასწაული 18 აგვისტოს აღინიშნება. ორგანიზატორები ამ დღეს მილა იოვოვიჩთან ერთად უამრავ ცნობილ ადამიანს ელოდებიან სხვადასხვა ქვეყნიდან.

"ბუკერი 2005"-ის პრეტენდენტები

ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია Man Booker Prize-ის ე.წ. "ლონგ-ლისტი" გამოქვეყნდა.

წლევანდელი "ბუკერის" "ვრცელ სიაში" წარდგენილი 109 კანდიდატიდან 17 მოხვდა. "ბუკერის" მთავარ ფავორიტებს შორის არიან: იენ მაკიუსონი რომანით "შაბათი" და ჯულიან ბარნსი წიგნით "არტური და ჯორჯი". ექსპერტების ვარაუდით, გამარჯვებისთვის კარგი შანსები აქვთ ჯონ მაქსველ კოეცი (რომანისთვის Slow Man), სალმან რაშდის (Shalimar the Clown) და კაძურო იშიგუროს (Never Let Me Go).

2005 წლის "ლონგ ლისტში" გასული წლების "ბუკერის" ოთხი ლაურეატია: მაკიუენი (1998), იშიგურო (1989), რაშდი (1981), ხოლო ჯონ მაქსველმა პრემია ორჯერ მიიღო - 1983 და 1999 წლებში.

ბუკერის პრემიის ე.წ. "შორტ ლისტი" ოფიციალურად 8 სექტემბერს გამოცხადდება, პრემიის გადაცემის ცერემონიალი კი 10 ოქტომბერს გაიმართება.

როგორც წესი, ბუკერის პრემია გადაეცემა ავტორს, რომელიც დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში, ან ირლანდიაში ცხოვრობს. გამარჯვებული 50 ათასი ფუნტი სტერლინგით ჯილდოვდება. თუმცა, გაცილებით მეტია შესაძლებლობები, რაც გამარჯვებულ ავტორებს ამ პრემიის შემდეგ მიეცემათ, რადგანაც როგორც "ბუკერის" 35-წლიანი ისტორია იუწყება, "ბუკერის" შემდეგ ამა თუ იმ გამარჯვებული ავტორის ნაწარმოებების გამოცემა-გავრცელებას წინ აღარაფერი აღუდგება. პრემიის მფლობელებისთვის კი "ბუკერი" ერთგვარი ტრამპლინიცაა უფრო მაღალი ჯილდოს მოსაპოვებლად. ასე მაგალითად, სამხრეთაფრიკელი მწერალი ჯონ მაკსველ კოეცი, "ბუკერის" ორგზის მფლობელი, 2003 წლის ოქტომბერში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

შარშანდელი ბუკერის პრემიის მფლობელი ბრიტანელი მწერალი ალან ჰოლინგჰერსტია (The Line of Beauty).

ნელი ფურტადო ახალი კუთხით

კანადელი მომღერალი ნელი ფურტადო რიგით მესამე ალბომის ჩაწერას შეუდგა. მუშაობა დისკზე მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ერთბაშად ოთხ სტუდიაში მიმდინარეობს: ლონდონში, ტორონტოში, ლოს-ანჯელესსა და მაიამიში.

ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ჩანაწერის სახელწოდება - Loose. მომღერალი ასევე არ ახმაურებს ალბომის გამოსვლის ვადებს.

"ყოველდღიურად ჩვენ ალბომის დასრულებისკენ მივდივართ. კმაყოფილი ვარ ჩანაწერით. ის სრულიად სხვა მხრიდან წარმომაჩენს", - წერს ფურტადო თავის ონ-ლაინ დღიურში.

ნელი ფურტადოს უკანასკნელი სტუდიური ალბომი - Folklore 2003 წელს გამოვიდა.

ცვლილებები Franz Ferdinand-ში

Franz Ferdinand-ის დრამერმა პოლ ტომპსონმა დატოვა თავისი კუთვნილი ადგილი დასარტყამ ინსტრუმენტებთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჯგუფმა დაკარგა დრამერი - უბრალოდ, მან კიდევ ერთი გიტარისტი იშოვა.

საქმე იმაშია, რომ ტომპსონმა გიტარაზე ჩაწერა რამდენიმე მუსიკალური ნომერი, რომელიც ჯგუფის მორიგ ალბომში შევა. ტომპსონი ასევე მესამე გიტარისტად გამოვა სცენაზე უახლოეს დღეებში დაგეგმილ კონცერტებზე. დასარტყამ ინსტრუმენტებზე კი მუსიკოსს შეცვლის ენდი ნოულზი, რომელიც პარალელურად ჯგუფ The Fiery Furnaces-ში მუშაობს. შოტლანდიური ჯგუფის შემადგენლობაში კი მას არ უნდა ველოდოთ.

მეორე დისკი, რომელსაც ისევე ერქმევა როგორც პირველს - უბრალოდ, "ფრანც ფერდინანდი", 3 ოქტომბერს გამოჩნდება მუსიკალურ მაღაზიებში. მანამდე კი გამოვა სინგლი Do You Want To - ჩანაწერი პირველად რადიოეთერში 19 სექტემბერს გაიჟღერებს.

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გაქვს ეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობლებთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ გეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოგვიგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა